საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეგუნი სიფიცვაა, ფაფიოებით და ჯიბეებით ბუბთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 14 ივნისი. 2024 წ. №70 (9750) ელ.ფოსტა: sak@sak.ge ფასი 1 ლარი

აშშ-ის ძალლიშვილები, ანუ როგორ გვლუპავს სიბნელე და უვიცობა!

4

ვაშინგტონმა ჩაითრია ევროპა უკრაინის ომში,

რადგან ამერიკისთვის სახიფათო იქნებოდა ევროპისა და რუსეთის ალიანსი...



5

ჟურნალისტებმა პატივი უნდა სცენ საერთო წესებს!

შალვა პაპუაშვილი მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელს ტერეზა რიბეიროს საგანგებო წერილით მიმართავს

ქალბატონ ტერეზა რიბეიროს
მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთოს წარმომადგენელს

პატივცემულო ქალბატონო რიბეირო,

წავიკითხე თქვენი განცხადება სოციალურ ქსელ X-ში საქართველოს პარლამენტში რამდენიმე ჟურნალისტისთვის აკრედიტაციის დროებით შეჩერების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს პარლამენტში 2023 წლის მარტიდან მოქმედებს მედიის აკრედიტაციის წესი (წესი თან ერთვის წერილს). იგი ეფუძნება ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპარლამენტის საუკეთესო პრაქტიკას. აღნიშნული წესი პარლამენტში ადგენს ეთიკური ჟურნალისტიკის სტანდარტებს. ერთი მხრივ, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ მანამდე გაცემული ქაოტური ყოველდღიური ნებართვების ნაცვლად, წლიური სააკრედიტაციო ბარათების მქონე ჟურნალისტებს ახლა შესაძლებლობა აქვთ, პარლამენტის თანამშრომლების მსგავსად ნებისმიერ დროს შემოვიდნენ პარლამენტში, წინასწარი ნებართვის გარეშე (თუ შენობაში არ მოქმედებს უსაფრთხოების განსაკუთრებული რეჟიმი) და პარლამენტის ნებისმიერ კუთხეში ჩაწერონ ნებისმიერი პარლამენტის წევრი. თითოეულ ეროვნულ მედიას უფლება აქვს, ყოველდღიური საქმიანობისთვის პარლამენტში ჰყავდეს მედიის წარმომადგენლების 10 ჯგუფი (თითო ჯგუფში სამი ადამიანი).

მეორე მხრივ, როგორც მედიის აკრედიტაციის ნებისმიერ სხვა წესში, ჟურნალისტებმა პატივი უნდა სცენ გარკვეულ წესებს, რათა დეპუტატების, პარლამენტის თანამშრომლებისა და ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფილი იყოს კონსტრუქციული სამუშაო გარემო. კერძოდ, მედიის აკრედიტაციაზე განაცხადის შეტანისას, ჟურნალისტები თანხმდებიან, დაიცვან ეთიკური ჟურნალისტიკის სამი ძირითადი წესი: არ გადაიღონ დეპუტატისა და პარლამენტის თანამშრომლის სამუშაო ოთახი წინასწარი გაფრთხილებისა და ნებართვის გარეშე; არ გადაიღონ დოკუმენტები, ტელეფონებისა და სხვა ელექტრონული მოწყობილობების ეკრანები ნებართვის გარეშე; და შეწყვიტონ რესპონდენტებთან გასაუბრება, თუ ისინი უარს იტყვიან ინტერვიუს გაგრძელებაზე და შეწყვიტონ ადევნება (აღსანიშნავია, რომ სხვა პარლამენტებისგან განსხვავებით, ინტერვიუს დასაწყებად წინასწარი ნებართვა არ არის საჭირო, მაგრამ ის უნდა შეწყდეს, თუ რესპონდენტი უარს აცხადებს მის გაგრძელებაზე).

აკრედიტაციის წესის გარდა, პარლამენტი უზრუნველყოფს ყველა კომიტეტის, ბიუროსა და პლენარული სესიის ონლაინ

იხ. მე-2 გვ.

ორბანს NATO თავის ჭკუაზე დაჰყავს!

8

უნგრეთი არ მიიღებს მონაწილეობას NATO-ს ფარგლებში უკრაინის სამხედრო და ფინანსურ მხარდაჭერაში, თუმცა არ დაბლოკავს მოკავშირეთა აღნიშნულ ძალისხმევას

საქართველოში 2021-2022 წლებში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2023 წელს ეკონომიკა 7.5 %-ით გაიზარდა

უძველესი გვარი — დაღვანი

6

10

არის, ასრულდა ოცნება – დღეს გერმანიაში მასპინძელთა და შოტლანდიის მატჩით იწყება ევროპის მე-17 საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც პირველია, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვქომაგობთ და არა რომელიმე გრანდს.

ისტორიამ ისე ინება, რომ, მართალია, დებიუტანტები ვართ, მაგრამ საპატიო ტიტულის სამი მფლობელი მაინც გვყავს **მიხეილ მესხის, სლავა მეცნიეველისა** და **გივი ჩოხელის** სახით, რომლებმაც მწვერვალი 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით დაიპყრეს. დავძენთ, რომ მეოთხის შანსიც გვქონდა, მაგრამ **ზაურ პალოევს** არ უთამაშია...

ევროპული ფეხბურთის ზეიმი იწყება!

ტრაგედია, რომელიც არ გვავიწყდება...

13 ივნისის სტიქიის მემორიალთან დედაქალაქის მერი და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე მივიდნენ

13 ივნისის სტიქიის მემორიალთან გუშინ დედაქალაქის მერი კახა კალაძე და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე მივიდნენ.

დეკანოზ შალვა კეკელიას განცხადებით, 9 წლის წინ ტრაგედიამ მთელი ერი გააერთიანა.

„კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს იმიტომ, რომ მათთვის ყველაზე მძიმე დღე გათენდა... მახსოვს, მზიურში როგორ ვეძებდით ცხედრებს და როგორი ერთიანი იყო მაშინ მთელი ერი. ამ ტრაგედიასთან ერთად ყველაზე სასიხარულო იყო ის, რომ მთელი ერი შეიკრა“, – განაცხადა შალვა კეკელიამ.

ტრაგედიას იხსენებენ 13 ივნისის სტიქიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრები:

„9 წელი გავიდა 13 ივნისის ტრაგედიიდან. ჩემი ალალი დები დაიღუპნენ, ნინო და ჟანა, ასევე ბიძაშვილები, სვეტა და ლიანა. იმ ღამეს დისშვილმა ფანჯარა გატეხა და მოასწრეს გამოსვლა. ჟანა გამოსული იყო და ნინო უკვე დაღუპული იყო“, – განაცხადა რაფაელ ეგიაზაროვმა.

2015 წელს მდინარე ვერეს ხეობაში მომხდარმა სტიქიამ 21 ადამიანი იმსხვერპლა, ორი კი ამ დრომდე დაკარგულად ითვლება. უსახლკაროდ დარჩა რამდენიმე ათეული ოჯახი.

სტიქია 9 წლის წინ, გვიან ღამით დაიწყო. წყალდიდობის შედეგად მთლიანად დაიტბორა სვანიძის ქუჩა, დაზიანდა ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელი ესტაკადა. წყალმა დაფარა გმირთა მოედანი და „მზიურის“ პარკი. თითქმის მთლიანად განადგურდა თბილისის ზოოპარკი. ცხოველების დიდი ნაწილი წყალდიდობას ემსხვერპლა, ნაწილმა კი ვოლიერებიდან ქალაქში გაქცევა შეძლო...

პირველი გვერდიდან

ჟურნალისტებმა პატივი უნდა სცენ საერთო წესებს!

ტრანსლირებას (საკუთარი ტელევიზიის, **Youtube** და სოციალური მედიის არხებით), რაც სულაც არ არის ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა ეუთოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გარდა ამისა, კარგად დამკვიდრებული პრაქტიკაა უმრავლესობისა და უმცირესობის წევრების ყოველდღიური შეხვედრები პრესასთან. მე ღია კითხვებისთვის კვირაში 1-2-ჯერ, საშუალოდ 45 წუთის განმავლობაში ვხვდები ყველა ჟურნალისტს. ეუთოს/ევროკავშირის სხვა პარლამენტებში ძნელად თუ შევხვდებით პარლამენტის თავმჯდომარის მედიასთან ასეთი ხშირი კომუნიკაციის პრაქტიკას. საერთო ჯამში, ჟურნალისტებს დღეში 2-3 საათი აქვთ ყველა დეპუტატთან ინტერვიუს ჩასანერად.

შედეგად, ასობით ჟურნალისტსა და მედია სააგენტოს აქვს სრული შესაძლებლობა, უწყვეტად გააშუქოს საპარლამენტო მოვლენები და ამავდროულად, პარლამენტში შეინარჩუნოს სამუშაო გარემო.

პატივცემულო ქალბატონო რიზვირო,

წლიური აკრედიტაცია ამ დროისთვის 339 ჟურნალისტს აქვს მიღებული. წესის შემოღების შემდეგ, პარლამენტის სასახლეში 22,839 შემოსვლა დარეგისტრირდა, ხოლო მედიის აკრედიტაციის შეჩერების მხოლოდ 14 შემთხვევა დაფიქსირდა (2023 წელს 9 შემთხვევა, 2024 წელს - 5). ყველა შემთხვევაში დარღვევა ეხებოდა რესპონდენტების მიერ გასაუბრებაზე უარის თქმის შემდეგ ჩართული კამერებით მათ ადევნებას. ეს გახლდათ ინდივიდუალური სანქცია, ანუ იმ მედიასაშუალებებს, რომელთა ჟურნალისტებსაც დროებით შეუჩერდათ აკრედიტაცია, ჰქონდათ შესაძლებლობა, ემუშავათ პარლამენტში დანარჩენი 9 ჯგუფის ოპერირებით.

ის ფაქტი, რომ დროებითი აკრძალვა (1 ან 6 თვის განმავლობაში) გამოყენებულ იქნა მხოლოდ შემთხვევების 0,06%-ში, ცხადყოფს, რომ ჟურნალისტები კეთილსინდისიერად იცავენ აკრედიტაციის წესს. ამიტომ, გასაკვირია, რომ წესების დარღვევამ, რომლებიც საუკეთესო ევროპულ პრაქტიკას ეფუძნება და რომლებსაც ჟურნალისტები ეთანხმებიან აკრედიტაციის მიღებამდე, შეიძლება გამოიწვიოს კრიტიკული რეაქციები. ასეთი შეშფოთება არ უწყობს ხელს ეთიკური ჟურნალისტიკის განვითარებას.

პატივცემულო ქალბატონო რიზვირო,

გარწმუნებთ, რომ საქართველოს პარლამენტი რჩება მედიის კეთილსინდისიერებისა და სანდოობის ხელშეწყობის ერთგული, რათა საზოგადოებას მიეწოდოს ზუსტი და გადამოწმებული ინფორმაცია და ხელი შეეწყოს დემოკრატიულ განხილვებს.

თქვენო აღმატებულებავ, გამოვხატავ ჩემს ღრმა პატივისცემას თქვენდამი.

პატივისცემით,

შალვა პაპუაშვილი,

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

განათლების და მეცნიერების მინისტრი – პარლამენტში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის გიორგი ამილახვარის განცხადებით, 170-ზე მეტი სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესი მიმდინარეობს. განახლების ჯამური ღირებულება 915 მილიონ ლარს შეადგენს.

მინისტრის განმარტებით, კერძო-საჯარო პარტნიორობის ფარგლებში, აქტიურად მიმდინარეობს კერძო სექტორის შემოყვანა პროფესიული განათლების განხორციელების პროცესში.

„პროფესიული განათლების ახალი ხედვის ფარგლებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. კოლეჯების დირექტორთა კვალიფიკაციის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით დირექტორთა უფლებამოსილება 5 წლის ვადით განისაზღვრა. პროფესიული განათლების საფეხურზე შემუშავდა და ამოქმედდა კვალიფიკაციების განვითარების ახალი მეთოდოლოგია. მიმდინარეობს მუშაობა სკოლებში პროფესიული განათლების დანერგვის გაძლიერების მიმართულებით. დაწყებულია მასწავლებლის მომზადება და გადამზადება საერთაშორისო სტანდარტით“, – განაცხადა გიორგი ამილახვარმა.

მინისტრის განცხადებით, 2023-2024 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან გაორმაგდა სტიპენდიატთა რაოდენობა და სახელმწიფო სტიპენდიის ოდენობა.

განახლებული პროგრამის ფარგლებში სასწავლო წლის 10 თვის განმავლობაში, ოქტომბრიდან ივლისის ჩათვლით, სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმატებული სტუდენტები ყოველთვიურად 150 ლარის ნაცვლად, იღებენ 300-ლარიან სტიპენდიას.

„აქამდე სტიპენდია თუ გაიცემოდა საშუალოდ 2 500 სტუდენტზე, 2023-2024 სასწავლო წლიდან გაზრდილ სტიპენდიას 5 000 წარმატებული სტუდენტი იღებს“, – აღნიშნა ამილახვარმა.

მისივე განმარტებით, საქართველოს მთავრობამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება ფინანსური დავალიანების მიზეზით სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის არსებული დავალიანების განულების თაობაზე.

გიორგი ამილახვარის განცხადებით, გადაწყვეტილება ეხება საჯარო და კერძო უნივერსიტეტების, საქართველოს მოქალაქე დაახლოებით 27 000 სტუდენტს, რომელთაც არსებული დავალიანება – ჯამში 30 მილიონ ლარამდე ჩამოეწერათ.

ამავდროულად, 2023 წელს განათლების საერთაშორისო ცენტრმა, საზღვარგარეთ სწავლის მიზნით, საქართველოს 191 მოქალაქე დააფინანსა. ასევე, მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე დაფინანსება გაუგრძელა გასულ წელს გამარჯვებულ 34 სტიპენდიატს. მინისტრის ინფორმაციით, ჯამურმა ღირებულებამ 5.8 მილიონი ლარი შეადგინა.

* * *

სიახლეა ისიც, რომ საქართველოს განათლების სისტემაში დაშვებული იქნება დისტანციური სწავლება – კერძოდ, როგორც ნაწილობრივ, ასევე სრულად ონლაინ სწავლება. განისაზღვრება სწავლის სფეროების ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელი იქნება ელექტრონული სწავლების კომპონენტის ნაწილობრივ ან სრულად გამოყენება. პირველად იქნება დაშვებული უცხოეთში დისტანციური ფორმით მიღებული განათლების აღიარება. შესაძლებელი გახდება ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების შემუშავების შემდგომ მთლიანად ონლაინ უნივერსიტეტის დაარსება.

გიორგი ამილახვარმა სიახლეებზე საუბრისას განაცხადა, რომ უნივერსიტეტებს, უკვე არსებულ პროგრამებთან ერთად, მიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით ბაკალავრიატის არანაკლებ 180-კრედიტიანი (3-წლიანი) საგანმანათლებლო პროგრამებისა და 60-კრედიტიანი (1-წლიანი) სამაგისტრო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობა მიეცათ.

მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ 2023 წელს განათლების საერთაშორისო ცენტრის მიერ დაფინანსებულთა რაოდენობამ 191-ს მიაღწია. ამასთან, მაღალი აკადემიური მოსწრების საფუძველზე, დაფინანსება გაუგრძელდა გასულ წელს გამარჯვებულ 43 სტიპენდიატს. ამ მიზნით ბიუჯეტიდან 5.8 მლნ ლარი გამოიყო.

საუბარი ასევე შეეხო, 1+4 პროგრამის განვითარებას, რომლის ფარგლებშიც 2024-2025 სასწავლო წლიდან სტუდენტთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსება გაორმაგდა – სწავლა ყოველწლიურად 100-100 სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტის ნაცვლად, ორჯერ მეტ (200+200) სტუდენტს დაუფინანსდება.

დავით ქართველიშვილი:
ანტიდასავლური განწყობების მთავარი ექსპორტიორი ისევ და ისევ „გლობალური ომის პარტიაა“!

„რაც უფრო მეტი ქვეყანა იქნება თეთრი სახლის სანქციების ქვეშ, მით უფრო ძლიერი გახდება ანტიამერიკული გლოკი.“ – ამის შესახებ „ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი დავით ქართველიშვილი სოციალურ ქსელში წერს.

„შტატები და სანქციები, როგორ მუშაობს ეს კომბინაცია?! დავიწყოთ ირანით, რომელიც სანქციების ქვეშ იმყოფება 1979 წლიდან. მან მოახდინა თავისი ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია: ნავთობით ვაჭრობის შეზღუდვების მიუხედავად, მაინც გაზარდა ნავთობპროდუქტების, მსუბუქი სამრეწველო საქონლის, სოფლის მეურნეობისა და თავდაცვითი სისტემების ექსპორტი.

გავაგრძელოთ ჩინეთით, რომელმაც გაატარა ფართომასშტაბიანი რეფორმები ეკონომიკის დენაციონალიზაციისა და საბაზრო ინსტიტუტების შექმნის დასაჩქარებლად. უცხოური კაპიტალისთვის გახსნა ადრე დახურული ინდუსტრიები და ქვეყნის ეკონომიკური ზრდა უკვე 1993 წლისთვის აღადგინა.

შემდეგი „გაჩერება“ რუსეთია, სადაც იმპორტის ჩანაცვლების, ახალი სავაჭრო პარტნიორების ძიების და შიდა რეზერვების გააქტიურების გამო, უკვე 2023 წელს (წინასწარი შეფასებით) ინდუსტრიულმა ზრდამ 5%-ს გადააჭარბა. ამავდროულად, სანქციების ქვეშ მყოფი რუსული ბანკები და სასაქონლო კომპანიები აჩვენებენ რეკორდულ მოგებას და რეკორდული დივიდენდების შემოსავალს, შიდა ინდუსტრია კი სწრაფად იზრდება – ასე რომ, რუსეთი გახდა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ეკონომიკა მსოფლიოში.

სანქციების ქვეშ მყოფმა ყველა დანარჩენმა ქვეყანამ გაზარდა ვაჭრობა იმ სახელმწიფოებთან, რომლებიც არ შეუერთდნენ მათ წინააღმდეგ ბლოკადას, გაატარეს ეკონომიკური რეფორმები და იპოვეს გზები ნედლეულისა და ენერგიის ექსპორტზე შეზღუდვების თავიდან ასაცილებლად.

ანუ, აშშ გლობალურ მსოფლიო ომამდე ვითარების მიყვანის გარეშე, თავდაპირველად ცდილობს ამ ქვეყნების დაშლას ეკონომიკური სანქციების მეშვეობით, მაგრამ შემდგომ გაოგნებული ხვდება - ამან არათუ ვერ მოახდინა დამანგრეველი ეფექტი, არამედ განაპირობა ამ ქვეყნების აღმშენებლობის დაწყება. ასევე ტრიგერის როლი ითამაშა ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაში – შტატების მიერ დაჩაგრული ქვეყნები აყალიბებენ ახალ ალიანსებს, რომლებიც ერთობლივად ეწინააღმდეგებიან ამერიკულ სანქციებს.

რუსეთის, ჩინეთის, ვენესუელას, ჩრდილოეთ კორეისა და ირანის ეკონომიკებმა შეძლეს არა მხოლოდ გადარჩენა, არამედ ზრდის გარკვეული იმპულსების პოვნა. დღეს „რუსეთი-ირანი-ვენესუელას“ ღერძი ასოცირდება ნავთობის უზარმაზარ მარაგთან და ნავთობპროდუქტებით ვაჭრობასთან. ირანი და რუსეთი ასევე ძლიერია სოფლის მეურნეობის სფეროში. ჩინეთს აქვს თანამედროვე ტექნოლოგია. რუსეთი, ჩინეთი, ჩრდილოეთ კორეა და ირანი წამყვან პოზიციებზე არიან იარაღის (მათ შორის თანამედროვე) წარმოებაში.

გარდა ამისა, სწორედ ჩინეთისა და ირანის მეშვეობით სხვა ქვეყნები იღებენ საქონელს, რომელსაც სანქციების გამო ვერ იღებენ. ამის მაგალითზე იუწყება **The Wall Street Journal**-ი: „ირანი ასევე აწვდის იარაღს ვენესუელას, ტექნიკურ დახმარებას უწევს მის ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურას და ამარაგებს მას სხვა სანქცირებული საქონლით. ამის სანაცვლოდ, კარაკასი ამარაგებს ირანს ოქროთი ორინოკოს აუზის უზარმაზარი საბადოებიდან“.

აქედან გამომდინარე, აბსოლუტურად ლოგიკურია მარტივი დასკვნა: რაც უფრო მეტი ქვეყანა იქნება თეთრი სახლის სანქციების ქვეშ, მით უფრო ძლიერი გახდება ანტიამერიკული ბლოკი. რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ურჩ სახელმწიფოებში ევროსკეპტიციზმისა თუ ანტიდასავლური განწყობების მთავარი ექსპორტიორი ისევ და ისევ „გლობალური ომის პარტიაა“, რაც მის უძლეველობასა თუ **IQ**-შესაძლებლობებში არსებულ მითებსა და ლეგენდებს აშკარად ეჭვქვეშ აყენებს...

სალომე ზურაბიშვილს მეორე ვადით პრეზიდენტობა უნდა!

ვახტანგ ძაბირაძე: სალომე ზურაბიშვილი წინასწარ ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების შემდეგ ოპოზიციას ექნება უმრავლესობა, რათა მისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით წარადგინონ



როგორც ძაბირაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, დღევანდელი პროცესისთვის უფრო მნიშვნელოვანია სალომე ზურაბიშვილი დარჩეს პრეზიდენტის პოსტზე, ვიდრე გადადგეს და არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა.

„სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ მოხარული იქნება, თუ ახალგაზრდების რჩეული პრეზიდენტი იქნება. ამ განცხადებაში საუბარი იმაზე, რომ ის დატოვებს პრეზიდენტის პოსტს და მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, მგონი ამას არ გულისხმობდა. უბრალოდ არის ასეთი ვარიანტი - არჩევნების შემდეგ, ქარტიაზე ხელმომწერმა პარტიებმა ფაქტობრივად აღიარეს, რომ არჩევნების შემდეგ თუ ისინი უმრავლესობაში მოვლენ, პრეზიდენტობის მათი კანდიდატი იქნება ისევ ზურაბიშვილი მეორე ვადით. ახლა ხომ პირდაპირი არჩევნები არ ტარდება. რაც შეეხება ამ განცხადებას, ვფიქრობ, რომ სალომე ზურაბიშვილი წინასწარ ცდილობს საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას. ვფიქრობ ამას გულისხმობდა და არა რაიმე სხვას, მითუმეტეს, პოლიტიკური პარტიის შექმნას და არჩევნებში მონაწილეობას. მგონია, რომ ზურაბიშვილის დღევანდელი პოზიცია და პროცესი, რომელიც ახლა ვითარდება, ამისთვის უფრო მნიშვნელოვანი იქნება ზურაბიშვილი დარჩეს პრეზიდენტის პოსტზე, ვიდრე გადადგეს და არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. თუ ამას აპირებდა, ადრე უნდა გაეკეთებინა, ახლა უკვე ეს პროცესი საკმაოდ გვიანია. არ მგონია, რომ სწორი იყოს ასეთი გადაწყვეტილების მიღება. საზოგადოებრივი აზრის მობილიზებას და ფორმირებას ცდილობს იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციას ექნება უმრავლესობა, რომ მისი კანდიდატურა იყოს წარდგენილი პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით“, – განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

კახა კალაძე: ჩვენი ფეხბურთელები აუცილებლად მიიღებენ ღირსების ორდენს!

კახა კალაძის თქმით, ფეხბურთელები ღირსების ორდენს აუცილებლად მიიღებენ.

„სამწუხაროა, რომ ეროვნული ნაკრების ფეხბურთელების და ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელების ღირსების ორდენზე წარდგენის საკითხს პრეზიდენტის მხრიდან გამოხმაურება დღემდე არ მოჰყოლია. ჯერ კიდევ თამაშის შემდეგ გაკეთდა განცხადება. აპრილის დასაწყისში პრემიერ-მინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ოფიციალურად მიმართეს პრეზიდენტს. ჩვენი ბიჭები აუცილებლად მიიღებენ ღირსების ორდენს, როცა ამის დრო მოვა. მინდა, მათ წარმატებები ვუსურვო“...

ნომრის ციტატები

უკრაინელი ბავშვები დედებთან ერთად საქართველოში დაისვენებენ, შენ რატომ იტყუები, ანიკო?!

11 ივნისს, ტელეკომპანია „Palitra News-ის ეთერში პარტია „ხალხისთვის“ ლიდერმა ანა დოლიძემ მორიგი მამალი ტყუილი უთხრა საზოგადოებას, მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ჩვენ მშვენიერი, ლამაზი ქვეყანა გვაქვს და უკრაინაში ომის შედეგად ასიათასობით ბავშვი დაობლდა, რომელთათვის თუნდაც ცოტა ხნით პატრონობის გაწევა, დასასვენებლად საქართველოში ჩამოყვანა მთავრობას თავისუფლად შეეძლო და ახლაც შეუძლია, მაგრამ ეს არც გაუკეთებია და ამას არც ამჟამად აკეთებსო!

მისი ამ განცხადებიდან სულ რაღაც ნახევარ საათში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბერლინში მყოფმა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** განაცხადა: **უკრაინის შეიარაღებული ძალებისა და ეროვნული გვარდიის წევრების შვილები ამ ზაფხულს საქართველოში საგანგებოდ გახსნილ განაკეთში გაატარებენ დედებთან ერთად უსაფრთხო და კომფორტულ გარემოში!**

„ძვირფასო კოლეგებო, უკრაინელ და ქართველ ხალხებს აერთიანებთ არა მარტო მსგავსი გამოცდილება და მტკიცე მეგობრული კავშირები, არამედ საზიარო მისწაფებები ევროპულ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, – აღნიშნა ირაკლი კობახიძემ. – უკრაინელი ხალხი მალე მიაღწევს მშვიდობას და ჩვენ ერთად ვიზეიმებთ ჩვენს სრულფასოვან გაერთიანებას ერთიან ევროპულ ოჯახში. მანამდე კი, ჩვენთვის ხელმისაწვდომი რესურსების ფარგლებში გავაგრძელებთ მხარდაჭერის გაგრძელებას უკრაინის აღსადგენად.“

გაიგეთ, ქალბატონო ანა? – ასეთი ქარაფშუტობა და უვიცობა ვით ეკადრება თქვენი დონის პოლიტიკოსს?!

პირდაპირი დიალოგი აუცილებელია!

ჩვენ თუ არ ვაპატიეთ ერთმანეთს და არ გამოვასწორეთ დაშვებული შეცდომები, კარგი არაფერი იქნება. ავიამიმოსვლის აღდგენის გადაწყვეტილება იყო ისტორიული ნაბიჯი. ჩვენ არაერთხელ მივმართეთ რუსეთის პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, რასაც მოჰყვა ჯერ ავიამიმოსვლის განახლება. 12 მაისის შეხვედრის **(იგულისხმება რუსეთში ქართული სათვისტომოს ფორუმი – რედ.)** რეზოლუციაში კი ახალი პუნქტები შევიტანეთ, რამაც კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი ჩვენს შორის ურთიერთობების ნორმალიზებას. მათ შორის, არსებული პრობლემების მოსაგვარებლად უნდა დაიწყოს პირდაპირი დიალოგი.

მამუკა ფიფია,
რუსეთული პარტია „სოლიდარობა მშვიდობისთვის“
საერთაშორისო მდივანი

აბა, ბიჭებო, აჩვენეთ მთავარსარდალ „მადამას“ თქვენი პროევროპულობა!

ეს კანონი (გამჭვირვალობის შესახებ – რედ.) უკვე მიღებულია, მაგრამ ამ ერთი და ბევრი სხვა კანონის, რომელიც, სხვათა შორის, არანაკლებად რუსულია, გაუქმება შეიძლება ერთი ხელის მოსმით, ერთი პარლამენტის სხდომით და ეს უკვე წერია „ქართულ ქარტიაში“, ეს უკვე გადაწყვეტილია და ეს უკვე ხელმოწერილია პრაქტიკულად ყველა იმ პარტიებისგან, რომლებსაც აქვთ ამბიცია, რომ იყვნენ პროევროპული. და მათი პროევროპულობა – ჩვენ ისე არავის ვენდობით! – დადასტურდება, როცა რეალურად, პარლამენტში ამ კანონებს – ყველას! – გააუქმებენ! ეს იქნება თქვენი გამარჯვება! ცხადია, ეს გამარჯვება გადის არჩევნებზე, სხვა გზა არ არსებობს!

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲫᲐᲦᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ,

ᲐᲜᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲕᲚᲣᲞᲐᲕᲡ ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔ ᲓᲐ ᲣᲕᲘᲪᲝᲑᲐ!

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ შეერთებული შტატების დიდ პრეზიდენტს ფრანკლინ რუზველტს მისმა ერთ-ერთმა თანაშემწემ ჰკითხა, ლათინური ამა და ამ სახელმწიფოს პრეზიდენტს რატომ უწოდებო მეგობარს, ის ხომ ძაღლიშვილიაო და იცით, რა პასუხი მიიღო იმ „დიდი“ პრეზიდენტისაგან? რა და, რუზველტმა უპასუხა: მეც ვიცი იმ ქვეყნის პრეზიდენტის ძაღლიშვილი რომ არის, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილიაო.

როგორია, ჰა!

ეს ამბავი არ იციან, განა, ჩვენმა პოლიტიკოსებმა? იციან, ალბათ! ისიც ეცოდინებათ, როგორი ანდაზა შეიქმნა იმ ქვეყნებში, რომლებსაც აშშ-სთან რამდენიმე საუკუნოვანი ურთიერთობა აკავშირებთ. აი, ეს ანდაზა: „აშშ-სთან მტრობა სახიფათოა, მასთან მეგობრობა კი – დამღუპველი“. იციან, ალბათ, ესეც. მაგრამ „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს, ფილოსოფოსთა გრძნობისა“, – რუსთაველისა არ იყოს! ისტორიის გაკვეთილების ცოდნაა სასარგებლო, თორემ მას თუ თავშესაქცევად კითხულობ, სარგებლობის კოეფიციენტი ნულია.

ეს რომ ასეა, მე არ დამიდგენია ეს. ათადან და ბაბადან არის ცნობილი. ევროპელების დამოწმება უყვართ ჩვენში და მეც დავიმოწმებ ევროპელებს: ბისმარკის გამონათქვამებს გაეცანით, გირჩევთ, გერმანიის კანცლერი იყო კარგა ხნის წინათ და ისტორიამ „რკინის კანცლერი“ შეარქვა, ახლანდელი კანცლერივით „გულღვიძლის ძეხვი“ კი არ დაურქმევიათ.

არავითარი ორმაგი სტანდარტი არ აქვს აშშ-ს, ის რაც საუკუნის წინათ იყო, ის არის ახლაც. იგივე აშშ-ის პრეზიდენტს ჰკითხა ერთ-ერთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, იაპონიასთან თქვენი დამოკიდებულება არ ჰგავს დემოკრატიული ქვეყნის მოქმედებასო და რას იტყვით ამაზეო. ჩვენ დემოკრატია ამერიკელი მოქალაქეებისთვის გვაქვსო. ეს იყო მეორე მსოფლიო ომის ბოლოს. ახლა კი აღარც ამერიკელი მოქალაქეებისთვის არის დემოკრატია. სწორედ დღევანდელი ამერიკული დემოკრატიის, უფრო კი – დემოტრაკიის ძალიან გამჭვირვალე მაგალითია: ბაიდენის ხელისუფლების დამოკიდებულება ტრამპისადმი.

ისე, რომ, იმის ძახილი, თქვენ, ამერიკელებო, ორმაგი სტანდარტები გაქვთო, ვერც ვერავის შეარცხვენთ და ვერც ვერავის გააკვირვებთ! იმის უფლება, რაც ამერიკის შეერთებული შტატების ძაღლიშვილებს აქვთ, თქვენ არავინ მოგცემთ, თუ მათი ძაღლიშვილები არ გახდებით და ... მაშინ თქვენი ხალხისათვის იქცევით ძაღლიშვილებად.

ყველა ერის მოღალატე ძაღლიშვილია, სწორედ ამაზე ათქმევინა კონსტანტინე გამსახურდიამ მეფე გიორგის „დიდოსტატის მარჯვენაში“, ქვეყანას, რომელსაც ამდენი მოღალატე (**ძაღლიშვილი – ზ.ც.**) ჰყავს, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებს მას“.

ყველა, ვინც გამჭვირვალობის კანონს ეწინააღმდეგება, ქურდია, რადგან, ქურდს რა უნდა და ბნელი ღამეო, – მრავალი საუკუნის წინ ითქვა ეს, ხოლო ვინც ლგბტ პროპაგანდის მხარდამჭერია, ის ნაღდად ძაღლიშვილია, ამერიკის ძაღლიშვილი იქნება თუ აქაური მაწანწალა ძაღლისა.

არ არის ეს სადავო და სადისკუსიო საკითხი. ამას არც ვენეციის რაღაც კომისიის დასკვნა სჭირდება და არც სტრასბურგის განჩინება: ძაღლიშვილი სტრასბურგშიც ძაღლიშვილია, როგორც იტყოდა გენიალური შექსპირი...

ახლა ხომ მაინც უნდა მიხვდეთ, ჩვენო პოლიტიკოსობის მოწადინენო, რომ ბატკნის ჩაქაფული თუ წითელი ლობიოს მომზადებაზე რჩევა ფოტიგასა და ბერბოკს კი არა, თქვენს ბათარეკა პაპასა და ოლღა ბეგიას უნდა ჰკითხოთ.

მე მეყო იმის „კადნიერება“, რომ რამდენიმე წერილი გამომექვეყნებინა რუბრიკით – „ღია გაკვეთილი ხელისუფლებისთვის“: არც მაშინ მქონდა იმის იმედი, რომ ვინმე შეისმენდა ჩემს, ან ჩემნაირების შეგონებას

ᲐᲠᲐᲕᲘᲗᲐᲠᲘ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲡ ᲐᲨᲨ-Ს, ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲘᲧᲝ, ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲐᲪ. ᲘᲒᲘᲕᲔ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡ ᲰᲙᲘᲗᲮᲐ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲛᲐ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲛᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲛ, ᲘᲐ�პᲝᲜᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲡᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲡ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲐᲛᲐᲖᲔᲝ. ᲩᲕᲔᲜ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲐᲥᲕᲡᲝ. ᲐᲮᲚᲐ ᲙᲘ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲙᲘ – ᲓᲔᲛᲝᲢᲠᲐᲙᲘᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲝᲜᲘᲐ: ᲑᲐᲘᲓᲔᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡᲐᲓᲛᲘ.

ისე, რომ, იმის ძახილი, თქვენ, ამერიკელებო, ორმაგი სტანდარტები და არც ახლა მგონია, ვინმეს ყურადღება მივიქციო, მაგრამ ვიტყვი მაინც: ის რა სახელმწიფოა, სადაც ძაღლიშვილობა ანუ სამშობლოს ღალატის შესახებ კანონთა კოდექსებში არანაირი ჩანაწერი არ არის!

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲛᲝᲫᲐᲚᲐᲓᲔ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲔᲑᲘ ᲙᲐ�პᲘᲢᲝᲚᲘᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲙᲔᲓᲔᲚᲗᲐᲜ ᲐᲡᲕᲚᲐᲡ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ. 6 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ის კი არა, მოღალატეთა გამოსვლებსა და განცხადებებს დღეში ასჯერ იმეორებენ ტელევიზიები და ხელისუფლების მაღალ თუ დაბალჩინოსნები დებატებში შედიან მათთან. ეს იმას ჰგავს, ვინმემ რომ თქვას, სუფრაზე უნდა მოვისაქმოო და სუფრის წევრებმა კამათი გაუმართონ, ეგ საქციელი არასწორიაო.

ასეა ეს!

ამიტომაა, რომ დღევანდელ საქართველოში სამშობლოს ინტერესების უგულებელყოფა, მეტიც, ფეხქვეშ გათელვა პროგრესულობად, დემოკრატიულობად, ანუ ყბადაღებულ ევროპულობად მიიჩნევა, შენი ქვეყნის (არა უცხო ქვეყნისა!) ინტერესების დაცვა სიბნელე და უვიცობაა.

როგორ შეიძლება, ამ ვითარებას მშვიდად უყუროს კაცმა! ამ სამი ათეული წლის წინ განათლების სისტემაში აღზრდის სისტემა რომ არ გაეუქმებინათ ნაცებს, ან მათ შემდგომ მოსულ ხელისუფლებას, ყურად რომ ეღო პროფესიონალთა რჩევები და აღედგინა სკოლის ერთ-ერთი ფუნდამენტური ფუნქცია, დღეს ამდენი უვიცი მოსწავლე და ასევე უვიცი მასწავლებელი, პატრიოტიზმისგან სრულიად თავისუფალი ე.წ. პროფესორები და მათი მიმდევარი „სტუდენტები“ არ იდგომებოდნენ უცხოელი ძაღლიშვილების დაგეგმილ პერმანენტულ აქციებსა თუ მიტინგებზე. იდგებოდნენ კი არა, არ დაჯაბნიდნენ ქუჩებსა და შენობის ფასადებსაც კი!

ᲜᲔᲝᲚᲘᲑᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲡᲬᲝᲠᲐᲓ, „ᲓᲔᲛᲝᲢᲠᲐᲙᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲗᲑᲣᲠᲔ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ, ᲫᲐᲦᲚᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲕᲘ ᲗᲘᲗᲘᲗᲠᲐᲓ ᲒᲐᲧᲘᲓᲣᲚᲘ ᲣᲬᲘᲒᲜᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲡᲔ ᲒᲐᲑᲐᲑᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ. ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲠᲐᲜᲒᲘᲡ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲡ ᲑᲠᲘᲤᲘᲜᲒᲔᲑᲡᲐ ᲗᲣ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ, ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ (ᲐᲗᲘ-ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ!) ᲔᲠᲗ ᲮᲛᲐᲨᲘ ᲐᲫᲚᲔᲕᲔᲜ ᲑᲠᲘᲧᲕᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲨᲣᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲖᲔ ᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲔᲜ.

სად, რომელ კულტურულ, ცივილიზებულ, თუ არაცივილიზებულ, მაგრამ ზრდილობიან საზოგადოებაში ხდება ეს? არ ვიცი, არა! ის კი ვიცი, რომ საბავშვო ბაღსა თუ სკოლის პირველ კლასში ასწავლიან ბავშვებს იმას, რომ ყველამ ერთად არ უნდა ილაპარაკონ და ერთმანეთის მოსმენა უნდა იცოდნენ. დიახ, ასწავლიდნენ და ახლაც ასწავლიან, მაგრამ არა ჩვენს ნეოლიბერალურ ჭაობში ჩაძირულ ქართულ სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში!

ამასწინათ რომ ვთქვი, საქართველოს განათლების სამინისტრო კარგა ხანია დაბნელების სამინისტროდ გადაიქცა-მეთქი, დიდ შეურაცხყოფად მიიღო ჩემი კოლეგების ერთმა ნაწილმა. რამ შეურაცხგყოთ, ნეტავი? იმან ხომ არა, რომ ამ საქმეში ისინიც

ჩემთან ერთად არ იზიარებენ ბრალს, რომელიც მთელ საზოგადოებას მიუძღვის, პირველ რიგში კი, ცხადია, განათლების თეორიისა და პრაქტიკის მცოდნე მეცნიერებს, გამოცდილ პედაგოგებს, ნაღდ ინტელიგენციას!..

„დიდოსტატის მარჯვენაში“ მეფე გიორგი I რომ ჩიოდა სიკვდილის წინ, მოღალატეთა მომრავლების გამო, დაგვიანებული იყო ის ჩივილი. მარტო მეფის კი არა, ყველა თითოეული იმუამინდელი ქართველის ბრალი იყო ამდენი ძაღლიშვილი რომ ჰყავდა ჩვენ გარშემო.

...თავის დროზე მთელი საზოგადოება რომ დარაზმულიყო და ხმა ამოეღო იმის წინააღმდეგ, რაც განათლების სისტემაში ხდებოდა, დღეს არ იქნებოდა ის ანტიქართული ისტერია, რაც შემზარავია ყველა ნორმალური მოქალაქისათვის. რატომ მოხდა ის, რაც მოხდა? იმიტომ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ფიქრობდა, რომ ეს მე არ მეხებაო. როცა ჩვენმა საზოგადოებამ დაივიწყა ის კლასიკური სენტენცია, რომ ქვეყნის ხვალინდელი დღე იმაზეა დამოკიდებული, როგორი თაობა იზრდება დღეს, ამით მწვანე შუქი აუნთო განათლების სისტემაში ლიბერალური პედაგოგების „უპრაგონო“ შემოჭრისა და მასთან ერთად ნეოლიბერალური ნიაღვრის წამლეკავ ღვარცოფს.

სოროსის ძუძუნაწოვი, თავისუფლების ინსტიტუტში გამოზრდილი გამოთაყვანებული ენჯეოკადრებით რომ გაივსო განათლების მართვის ორგანოები, არავინ იცოდა, განა, რომ უცხოელი ძაღლიშვილების გამოწვრთნილი კადრები ყველაფერს იკადრებდნენ? თუ არ იცოდნენ, ახლა ხომ იციან! რაღას უცდიან, მართვის სათავეები მაინც გაწმინდონ ძაღლიშვილებისაგან, რადგან წყალი სწორედ სათავიდან იმღვრევა.

კიდევ ვიმეორებ: პატარა და სუსტი კაცის მდგომარეობაში ნურავინ ჩაიყენებს თავს, თორემ არავითარი არგუმენტი არ გამოადგება დიდკაცთან დავაში. ბევრს ეცადა ის ბატკანი თავის მართლებას მგელთან, არ ამიმღვრევია შენთვის წყალიო, მაგრამ მგელს ვერ გადაათქმევინა ყალბი ბრალდება, რადგან მგელს ბოლოსთვის უტყუარი მიზეზი ჰქონდა შემონახული: „შენი ჩაკვნეტა რომ მინდა, მიზეზად ესეც კმარაო!“ მეტი ფიქრი არ იცის მგელმა და არც სჭირდება, რადგან ის იცის, რომ „დიდ კაცთან პატარა კაცსა, როდის გასვლია მართალი“.

ამიტომ, ჩემო გატანჯულო ხალხო, მგელი თუ დაგემტერა, კარგ ნაგაზს უნდა დაუმეგობრდე და გადარჩები.

კავკასიური ნაგაზი თუ იქნება, აჯობებს უთუოდ!

ახლა, ისე კი ნუ იფიქრებთ, რომ მარტო ნაგაზის იმედად დარჩეთ, არა! „სამშობლოს სუნთქვა გასაკვირველი, მზის მხურვალება გარს რომ ავლია, აი, პირველი, აი, პირველი, რის სიყვარულიც მე მისწავლია!“ ეს სიყვარული ასწავლეთ შვილებს, რათა თავიანთი „შინ“ სამშობლოს გარეთ არ ეგონოთ.

ზურაბ ცუცქირიძე,
პედაგოგიკის დოქტორი, ჰუმანური პედაგოგიკის რაინდი
ტელ; 555 56-75-37

ვაშინგტონმა ჩაითრია ევროპა უკრაინის ომში

რადგან ამერიკისთვის სახიფათო იქნებოდა ევროპისა და რუსეთის ალიანსი...

ვაშინგტონიდან ბრიუსელზე დიქტატი დასასრულს უახლოვდება, რაც კარგად წარმოაჩინა ევროპარლამენტის არჩევნებმა. ევროკავშირის ბლოკის 400 მილიონმა მოქალაქემ ჯამში, ევროპარლამენტის 720 წევრი აირჩია.

საქართველოში მიიჩნევენ, რომ ევროპარლამენტის არჩევნებით ევროპელები გადიან ღირებულებებისთვის ბრძოლის იმ გზას, რაც საქართველომ ახლახან გაიარა. ახალი არჩევნებით შეირყა ფსევდოლიბერალიზმი. ამიტომაც ევროპარლამენტარის სავარძლებს ემშვიდობებიან საეკაშვილის მხარდამჭერი ფოტიგები, კრამონები და სხვები.

ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებმა საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონს რადიკალური ნაბიჯები გადაადგმევინა. მემარჯვენეთა მიმართ მხარდაჭერის ზრდამ მაკრონს პარლამენტის დათხოვნა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნა აიძულა.

საფრანგეთის ულტრამემარჯვენე „ეროვნული გაერთიანების“ ლიდერი მარინ ლე პენი ამბობს, რომ ფრანგებს აქვთ ისტორიული შანსი, საშუალება მისცენ ეროვნულ მოძრაობას, საფრანგეთი საკუთარ გზაზე დააბრუნონ.

ევროპარლამენტის არჩევნების შედეგებით არც გერმანიის კანცლერია კმაყოფილი. შოლცი ამბობს, რომ ეს არჩევნები გერმანიის სამთავრობო კოალიციის ყველა პარტიისთვის ცუდი აღმოჩნდა.

სამაგიეროდ, კმაყოფილია უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, რომელიც ფიქრობს, რომ ევროპის პოლიტიკური ლანდშაფტი მარჯვნივ და მშვიდობისკენ გადაიხარა.

ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი ამბობს, რომ ბოლო ათწლეულში ევროპარლამენტი კორუფციის, ლობიზმის, გინძური ინტერესების გამტარ გუდად აქცია, ევროველ ხალხს კი ყელში ამოუვიდა ამერიკიდან მართული პოლიტიკური ლიდერშიპი.

ბოლოს და ბოლოს, წარსულს ჩაბარდებიან თუ არა კრამონები, ფოტიგები თუ კორუფციული გარიგებები ახალი ევროპარლამენტისთვისაც თანმდევი იქნება

მარინ ლე პენი: ფრანგებს აქვთ ისტორიული შანსი, საშუალება მისცენ ეროვნულ მოძრაობას, საფრანგეთი საკუთარ გზაზე დააბრუნონ.

ბერმანიაში, შოლცის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია დამარცხდა, ეს მაშინ, როცა ორი ძირითადი ქვეყანაა წამყვანი ევროპაში — საფრანგეთი და გერმანია. საბოლოო ჯამში, ეს არის ძალიან დიდი ზარი ევროპის პოლიტიკური ლიბერასტიზმისთვის, რომ მათი დრო წარსულს ბარდება.

ვაშინგტონის ბრძოლა ევროპელ ლიბერალებთან ბოლო ოღონდ ისეთი ძლიერი სახე არ აქვს, რომ ამას ევროპული პოლიტიკის არსებითი ცვლილებები მოჰყვეს. ბოლოს და ბოლოს, ავადსახსენებელი სახალხო პარტია (EPP) მაინც უმრავლესობაშია და მაინც ბევრ ქვეყანაში მემარცხენეები არიან მოსულნი, არც მემარჯვენეების კოჰორტა გამოიყურება შთამბეჭდავად და ძლიერად, რომ თითოეული ქვეყანა საკუთარი თავის პატრონი გახდეს.

„ილიასეული „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“ დღეს ევროპის ქვეყნებისთვის აქტუალური პრობლემაა. ევროპელებს საკუთარი თავი არ ეკუთვნით არა მარტო ამერიკული გავლენების, არამედ ევროკავშირის მარწუხების გამოც. ევროკავშირს უჩიოდა ფიცო, რომელიც ცოტა ხნის წინ ლამის გამოასალმეს სიცოცხლეს, ფიცო ამბობდა, აქ სიმართლის თქმა შეუძლებელიაო. ევროკავშირის წამყვანი ისევ ურსულა ფონ ლაიენია, რომელიც როგორც ადრე ფიქრობდა ამ კავშირის გაძლიერებაზე, ახლაც იმავეს ეცდება. ის ფაქტი, რომ ისევ ეს ფიგურა აღმოჩნდა წამყვან თანამდებობაზე, უკვე მეტყველებს, რომ ევროპარლამენტში არ არის ისეთი არსებითი ცვლილებები, როგორც საქართველოში ჰგონიათ. ევროპელები ოდითგანვე პრაქტიკული ხალხია. ამ შემთხვევაში, შოლცსაც და მაკრონსაც მცირეოდენი გადაცდომა ჰქონდათ არაევროპულობისგან, მათ წინამორბედებსაც ასეთივე გადაცდომა ჰქონდათ, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ვაშინგტონის ზედმეტი ზეწოლით“, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.

ანალიტიკოსის აზრით, ვაშინგტონისთვის ხელის აქნევა ევროპელებისთვის სახიფათოა, რადგან ევროპელები დამოკიდებულნი არიან ვაშინგტონზე ფინანსურადაც და უზარმაზარი ეკონომიკურ-პოლიტიკური, სამხედრო პოტენციალითაც, რაც გააჩნია ვაშინგტონს. ვაშინგტონმა პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალით ჩაითრია ევროპა უკრაინის ომში და ევროპელები უფრო დაზარალებულნი აღმოჩნდნენ ამ ომით. ამერიკამ უკრაინის ომით რამდენიმე ევროპული კურდღელი მოკლა, თორემ ევროპელებს ადრე ჰქონდათ ტენდენცია, უფრო თბილი ურთიერთობა დაემყარებინათ რუსეთთან. ამის ნიშნები ვნახეთ უკრაინის ომის დასაწყისში, მაკრონი და შოლცი რომ ესტუმრნენ პუტინს, ეს პრორუსული პოლიტიკის გაგრძელება იყო ევროპაში, მაგრამ ნელ-ნელა სიტუაცია იქამდე მივიდა, რომ ახლა რუსეთთან დაპირისპირებულნი არიან ევროპული ქვეყნები.

რამაზ საყვარელიძის განმარტებით, ამერიკისთვის სახიფათო იქნებოდა ევროპისა და რუსეთის ალიანსი, ამიტომ ამერიკამ უკრაინის ომით ეს ხიდი რუსეთსა და ევროპას შორის ჩატეხა. ამავე დროს, ევროპელების ეკონომიკური გაძლიერების ფონზე, ევროპელთა დამოუკიდებლობის იდეა უფრო და უფრო მწიფდებოდა და ეს ბუნებრივიცაა, ვინც ეკონომიკურად ძლიერი ხდება, მას დამოუკიდებლობაც უნდა, მაგრამ უკრაინის ომით ეს იდეაც გაბზარულია.

„ასე რომ, ამერიკას აქტუალობა არ დაუკარგავს ევროპისთვის, არც გავლენა და ძალა დაუკარგავს და უკრაინის ომის ეტაპზე ევროპამ კიდევ ერთხელ დაინახა, რომ ამერიკას შეუძლია პრობლემები შეუქმნას ევროპულ ქვეყნებს. ამიტომ ევროპის ქვეყნები ასე ადვილად ანტიამერიკულ რიტორიკას ვერ განახორციელებენ, განსხვავებით საქართველოსგან, რომელიც უფრო შორსაა ამერიკისგან და, ალბათ, უფრო გაბედულებიც ვართ და არც ვიცით ის სირთულეები, რაც შეუძლია მოუტანოს საქართველოს ამერიკასთან პოლიტიკურმა დაძაბულობამ. ევროპამ ეს ძალიან კარგად იცის“, – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

* * *

ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე ერთმნიშვნელოვნად არ ამბობს, რომ ფოტიგები, კრამონები საბოლოოდ ჩამოგვცილდებიან, ვინაიდან ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები მხოლოდ იმ დიდი პოლიტიკური მიწისძვრის დასაწყისია, რომელიც ევროპაში მიმდინარეობს. ამის დასტურია ფაქტები, რომ საფრანგეთში ლიბერასტიზმმა საშინელი მარცხი განიცადა, რასაც კიდეც მოჰყვა ფრანგი ლიბერასტი პრეზიდენტის – მაკრონის მხრიდან რეაგირება, რომელმაც დანიშნა ახალი საპარლამენტო რიგგარეშე არჩევნები.

„მსგავსი განწყობა აისახა გერმანიაში, სადაც შოლცის ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია დამარცხდა, ეს მაშინ, როცა ორი ძირითადი ქვეყანაა წამყვანი ევროპაში – საფრანგეთი და გერმანია. საბოლოო ჯამში, ეს არის ძალიან დიდი ზარი ევროპის პოლიტიკური ლიბერასტიზმისთვის, რომ მათი დრო წარსულს ბარდება. ყოველივე ამის დაგვირგვინება იქნება მიმდინარე წლის 5 ნოემბერი აშშ-ში, როდესაც უეჭველად ტრამპი მოვა ხელისუფლებაში, რაც ნიშნავს, რომ ლიბერასტიზმი საბოლოოდ ჩაირეცხება. ამ ისტორიულ პროცესს შოლცი და მაკრონი ვერ შეაჩერებენ, ჰიტლერი რომ წამოაყენონ, ისიც ვერ აღუდგება ამ პროცესს. ლიბერასტიზმის დრო ისტორიის კანალიზაციისკენ მიექანება. ამის შემდეგ წამოვა პროგრესული იდეოლოგია – კონსერვატიზმი, რომელიც დაფუძნებული იქნება ღმერთზე, სამშობლოსა და ოჯახზე“, – აღნიშნა ედიშერ გვენეტაძემ.

მანანა ნოზაძე

ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲒᲕᲐᲠᲘ — ᲓᲐᲓᲕᲐᲜᲘ

ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ



ᲓᲐᲕᲐᲜᲘ-ᲓᲐᲓᲣᲐᲜᲘ წარმოშობილი უნდა იყოს პირისახელ „დადუასგან“. გვხვდება ტოპონიმი „დადივათიში“ (ლაზური სოფ. ოსმალეთში, რიზეს სანჯაყში). არის ვერსია გვარსახელ „დადივასა“ და „დადიანის“ შემოკლებულ მეგრულ ფორმა „დადაიას“ შორის შესაძლო კავშირებზე. საგულისხმოა, რომ ლაზეთის მკვლევარ გივი ქარჩავას ცნობით, ვიწეს სოფ. სუმლაში გვხდება გვარსახელი დადიანი, ფორმით დადიანიში. ამავე ძირისად მიიჩნევა სვანური გვარსახელი „დადვანი“, რომელშიც „ვინ“ წინ-ხმოვანი ამოვარდნილი უნდა იყოს (შდრ. მეგრულისა და სვანურის სახასიათო ფორმები კიტვანი, ნაცვლად კიტოვანისა (შდრ. ასევე კიტია და კიტუნი ფორმები), ჩიქვანი, ნაცვლად ჩიქოვანისა (შდრ. ჩიქოანი, ჩიქუანი, ჩიქუა, ჩიქვა, ჩიქია), ასევე მცირერიცხოვანი „დადვაძე“.

„დადიანისთვის“ ამოსავალია პირის სახელი „დადი“ (თოფჩიშვილი, 1997, 31). შდრ. გვარსახელები: დადი (უსუფიქსო), დადისაშვილი, დადისძე, დადიში (ყველა მათგანი ამოკრებილია პ. ინგოროყვას „სვანეთის საისტორიო ძეგლებიდან“ (იხ. ინგოროყვა, 1941)).

ასევე ჩვენს გვარს აქვს საერთო ფუძიანი შტო-გვარები: დადიანი, დადია, დადვანი, დადვაძე და დადივანი – დადივა – დადვა. ისინი ეტიმოლოგიურად ერთი ძირის ეპონიმური წარმოშობის გვარსახელებია. შტო გვარებია: **გაბოშა, ბიუშა, დუაშა, ბუღაშა, თამბიშა, ხაშშა, დადვანშა.** რაც შეხება **გვარის** პირველ და შემდეგ **მოხსენიებას** ჩვენი გვარი **პირველად ნახსენებია XIV-XV საუკუნეებიდან,** მოიხსენიება გვარის ისტორიულ წყაროებში (ოთხთავის ნუსხური მინაწერი, სვანურ ისტორიულ საბუთებში).

სოციალური სტატუსით **თავისუფალი გლეხები, აზატები იყვნენ.**

სვანეთში არსებული ცნობებით „დადვანების“ წარმოშობის ისტორია უკავშირდება სასულიერო პირს, რომელსაც ერისკაცობაში ერქვა დაუ, რომელიც ბერად აღიკვეცა, სწორედ მას უკავშირდება ჩვენი ფუძე სოფლის სახელწოდება, საიდანაც დაიწყო გვარმა გამრავლება, რომელი სოფელიც დღესაც ცნობილია **დაუ ბერით,** სადაც დღემდე არის შენარჩუნებული ის ფუძე-სახლი, საიდანაც მოხდა ჩვენი გვარის გაშლა, რომელ სოფელშიც დგას ჩვენი გვარის სიძლიერის და სიმამაცის აღმნიშვნელი 7 კოშკი.

რაც შეეხება ჩენი გვარის გამოჩენილ წინაპრებს, ისინი იყვნენ როგორც სასულიერო პირები, ასევე გამოჩნილი ერისკაცები. **ლაზარე დადვანი**, რომელიც ითვლება სვანეთში ერთ-ერთ პირველ წერა-კითხვის მცოდნე ადამიანად (იმ პერიოდში, როცა წერა-კითხვა ერთეულთა ხვედრი იყო და მხოლოდ მონასტრებში ხდებოდა მისი სწავლება)... სვანური ტრადიციისა და კულტურის შესახებ ლაზარე დადვანი აგზავნიდა წერილებს თბილისში 10 წლის განმავლობაში და იბეჭდებოდა ჟურნალ „დროებაში“.

პლატონ ლაზარეს ძე დადვანი — ქართველი ლოტბარი, პედაგოგი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. თბილისის საგზაო-საავტომობილო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მესტიის პედაგოგიურ სასწავლებელში ასწავლიდა ხატვასა და მუსიკას.

გვარს ჰყავს ასევე გმირები სამამულო ომისა, 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანი ომისა.

სამაჩაბლოს ომში გმირულად დაიღუპა 19 წლის **გმირი საბა დადვანი;**

გმირია აგრეთვე მეომარი, ვახტანგ გორგასლის ორდენოსანი, უვაუკაცესი ახალგაზრდა **გურამ დადვანი;**

ვასილ გაბოს ძე დადვანი, მღვდელი. (დაბადება-გარდაცვალება) დაახლოებით 1870- 1910 წლები, კალას თემი სოფელი დავბერი,

მღვდელი ლაზარე დადუანი, ზოგან დადვანად მოიხსენიება, წერა კითხვის გამავრცელები საზოგადოების წევრი იყო.

ანზორ დადვანი, სახელოვანი ექიმი.

აფხაზეთში, საქ. ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირები:

ჭიჭიკო დადვანი; ავთო დადვანი; ზაქრო დადვანი; მარლენ დადვანი.

ანთიმოზ და სერგო დადვანები, მამა-შვილი, როგორც გვარისთვის ასევე მთელი სვანეთისთვის იყვნენ იმედი და ძალა, გვერდში მდგომი ადამიანები, დღემდე დაუვიწყარია მათი ადამიანობა, ამაგი და ღვაწლი.

რაც შეეხება ამჟამად ჩვენი გვარის გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეებს, გვყავს სასულიერო პირები: **იღუმენი ზენონი დადვანი** (წერაქვის მამათა მონასტრის წინამძღვარი); **მამა საბა დადვანი, მამა სპირიდონ დადვანი** (მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია).

ჩვენი გვარიშვილები არა მხოლოდ სვანეთის ტერიტორიაზე არიან დასახლებულნი, არამედ, საქართველოს ყველა კუთხეში. გვარის განსახლების ფუძე-ადგილებია **სვანეთის სოფლები:** დაუბერი, იფრალი, მულახი, არცხელი, ზარდლაში, ღვეფრა.

2016-2017 წლების მონაცემებით, დადვანები ცხოვრობდნენ: თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, მარნეულში, ზუგდიდში, გარდაბანში, გალში, ბოლნისში, სოხუმში, ხაშურში, საგარეჯოში, წყალტუბოში, ქარელში, თერჯოლაში, ოჩამჩირეში, გულრიფში, წალკაში, წალენჯიხაში, ხონში, ჩხოროწყუში, თეთრიწყაროში, გაგრაში, მესტიაში, გუდაუთაში, ტყვარჩელში.

2017 წლისთვის საქართველოში ცხოვრობდა 483 დადვანი, 33 დადუანი. საქართველოში დარეგისტრირებურ 97 ათასზე მეტ გვარს შორის დადვანები და დადუანები ერთად 516 ადამიანია.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II, 2013 წლის 15 დეკემბერს დალოცა ჩვენი გვარი. რაც შეეხება საგვარეულო კავშირის დაფუძნებას, კავშირი 2013 წელს შეიქმნა, გვარის წინამძღოლად არჩეულ იქნა გიორგი დადვანი, რომელმაც ორგანიზებულად უხელმძღვანელა გვარს, შეიქმნა ჩვენი გვარის მფარველი **წმ. ბარბარეს** სახელობის ხატი (რომელიც მონაცვლეობით ყველა ოჯახში მიბრძანდება და ასე ეფინება გვარის მფარველი ხატის მადლი ჩვენს ოჯახებს), გერბი და დროშა.

2021 წლიდან გვარს სათავეში ვუდგავარ თქვენი მონა-მორჩილი ლაშა ზაურის ძე დადვანი, ვმუშაობ გვარის სტატისტიკურ აღწერებზე, ძველი და ახალი გენიალოგიის გაერთიანებაზე, ასევე ჩემი დიდი სურვილია, შევისწავლო გვარის ისტორია სრულყოფილად და გამოვცე წიგნის სახით.

ასევე ვატარებთ გვარის ყოველწლიური შეკრებას.

ᲣᲐᲦᲠᲔᲡᲐᲓ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ:

ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲣᲙᲔᲗ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ ᲒᲔᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲕᲐᲠᲘᲡ ᲤᲣᲫᲔ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ, ᲙᲐᲚᲐᲡ ᲗᲔᲛᲘᲡ ᲡᲝᲤ. ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲓᲐᲓᲕᲐᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ!

ეზა დადვანი (ტესტის შედეგი გახმაურდა 13.03.2020.). მასში აღნიშნულია:

ეს სერტიფიკატი ადასტურებს, რომ **Family Tree DNA**-მ ჩაატარა თქვენი დნმ-ის ანალიზი. გამოკვლეულ თორმეტივე ლოკუსის შედეგებს შეგიძლიათ გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. თქვენთვის უფრო გასაგები რომ იყოს, ჩამოვთვალეთ ლოკუსის ნიშნები თორმეტივე ლოკუსისთვის, რომელიც გამოიყენეს ჩვენი კომპანიის მხარდამჭერმა გენეტიკოსებმა. თუ თქვენი ალელები თორმეტივე ლოკუსზე ზუსტად ემთხვევა სხვა ადამიანისას, ამ შემთხვევაში თქვენ გაქვთ საერთო ჰაპლოტიპი. **Family Tree DNA** წარმოადგენს გენეალოგიურ ინსტრუმენტს, რომლის დანიშნულებაა დაეხმაროს ადამიანებს, რომელთაც სურთ „შეუერთდნენ“ დროში დაკარგულ ნათესავებს.



FamilyTreeDNA

Certificate – Y-DNA

This Certificate confirms that you have had your DNA analyzed by Family Tree DNA.

The results below are from the DNA sample that you submitted to our testing service. The outcome from each of the twelve Loci examined is reported in the table below. For additional results visit your page at our web site.

For your benefit we have listed the Locus designation for all Twelve Loci utilized by the geneticists supporting our company. If your alleles for the twelve Loci match another person exactly, then you share the same Haplotype. However, if your numbers were off by one position from another person in one Locus, you would be considered in the same Haplogroup.

Family Tree DNA is a Genealogical tool designed to aid individuals wanting to "connect" to other relatives lost in time and where the paper trail no longer exists.

Eza Dadvani

Your Kit # 927625

	DYS393	DYS390	DYS19	DYS391	DYS385	DYS426	DYS388	DYS439	DYS389-I	DYS392	DYS389-II
Allele	14	22	15	10	16-16	11	12	12	12	10	29

March 13, 2020

Eqpegvc'C'Dqt o cpu

ჩვენ მიერ ჩატარებული გენეტიკური ტესტირებით თქვენ დაგიდგინდათ ჰაპლო ჯგუფი **G2a1a1 – Z6692.** წარმოიშვა დაახლოებით 6000 წლის წინ, წინაპრული **G2a-Z6653** ჰაპლო ჯგუფისგან კავკასიის რეგიონში. რასაც ადასტურებს, როგორც ჰაპლო ჯგუფის შტოების მრავალფეროვნება, ისე, ამ შტოების გავრცელების მაღალი სიხშირე კავკასიელებს შორის.

წინაპრული **G2a-Z6653** ჰაპლო ჯგუფი არის 9500, **G2a1a1–Z6692**-ის ჩათვლით მრავალ შიდა განშტოებას მოიცავს, რომლებიც მაღალი სიხშირით არის გავრცელებული საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში. უფრო, ცენტრალურ და დასავლეთ კავკასიაში. განსაკუთრებით მაღალი სიხშირით არის ეს შტოები გავრცელებული სვანებში – 80%-მდე, მეგრელებში – 30%, იმერლებში – 30%, ყარაჩალებსა და ბალყარელებში – 30%, ოსებში – 60%.

კავკასიაში ჰაპლოჯგუფის ყველაზე ძველი და მრავალფეროვანი შტოები კი სვანებში დასტურდება. საქართველოს მასშტაბით, სვანეთის გარდა, იგი უფრო დაბალი სიხშირით ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე გვხვდება, თუმცა ძირითადად მაინც დასავლეთ საქართველოშია კონცენტრირებული.

აღსანიშნავია, რომ ქართველებს შორის, აქ აღნიშნული ჰაპლო ჯგუფის უფრო ძველი შტოებია მეტწილად გავრცელებული, რომლებიც წინაპრულია ჩრდილო კავკასიელებში გავრცელებული შტოებისთვის, რაც ამ ჰაპლოჯგუფის მატარებელთა სამხრეთიდან ჩრდილოეთ კავკასიაში მიგრაციას ადასტურებს.

ჰაპლო ჯგუფი, რომელსაც თქვენ მიეკუთვნებით, არის კავკასიური წარმოშობის, მისი წარმომადგენლები ძველთაგანვე გავრცელდნენ კავკასიის რეგიონსა და კონკრეტულად საქართველოს ტერიტორიაზე და სხვა ჰაპლოჯგუფების წარმომადგენლებთან ერთად თავიდანვე მიიღეს მონაწილეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა ქართველი ხალხის ეთნოგენეზში.

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ, ᲒᲐᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ, ᲩᲔᲛᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲡᲐᲒᲕᲐᲠᲔᲣᲚᲝᲡ!

ᲚᲐᲨᲐ ᲓᲐᲓᲕᲐᲜᲘ

ზაალ ებანოიძე

იდუმალი წესრიგი

იდუმალი წესრიგი ჰარმონიას აშენებს,
ჰარმონია თანდათან ითარგმნება ლექსებად.
სიზმარ-სიზმარ დავდივარ, რასაც თვალი მაჩვენებს,
რასაც თვალი აჩვენებს – გული ეალერსება.

ძნელი მოსამწყემსია ხშირად ხელოვანება,
ღაწვი მოგენამება, პატიებას იქით სთხოვ;
დუმილს უნდა დაუთმონ სმენა მელომანებმა
და ტოტების ჩრდილები ნოტებივით იკითხონ.

ჩემი მესაიდუმლე ეს ღურღუნცი ტყე არის,
ჩემი სარკე მინდვრებში ჩაწოლილი ტბორია.
ფრინველივით დაფრთხება ზოგჯერ ფეხში ნიავი
და თვალებში ჩადგება მჩატე მელანქოლია.

ხშირად, როცა ოცნება სხვენზე აიბინადრებს
და გულხარბი ჭალები ჭარბად აიკვირტება,
ხელს გავშლი და ასეთ დროს ისეთ რამეს ვინატრებ,
ძილში რო ამისრულდეს, ცხადში გამიკვირდება.

აპრილია, ხელახლა ამოვდივარ შინდიდან,
ცისკენ ეს მერამდენედ ამამჩატა ბალახმაც;
მაინც ისე ვბერდები, მაინც ისე მივდივარ,
ვერ შევძელი ზურგიდან ჩემი თავის დანახვა.

ურუანტელი აჰყვება თქორის წამომღერებას,
ღამდება და ჩირგვებზე ნაადრევი ნამია;
მკერდის ხიხინს მახსენებს ხეობების ხველება
და სხეულში ცხელება ხელმეორედ დამიარს.

ფეხაკრეფით გამოდის ახლა მთები ნისლიდან,
ცისკენ აცურებულა მოქათქათე ქულები;
გალიგვებულ თითებით მკერდზე ღილებს ვიხსნი და
ბავშვობიდან დაჩაგრულ ჩემს თავს ვედიდგულები.

ხილულ უფერობაში რა ხანია ფრინავენ
ჭარბად მოურიამულე ფეროვანი ფრთოსნები;
ერთმანეთის თვალებში მზერა დავაბინავეთ
და დაკარგულ მისამართს სადაცაა მოვძებნით.

ცეცხლის ალზე დანახულ ფანტასტიკურ ჩვენებებს
მჩატედ მიასვენებენ ფერშეცვლილი ფშანები.
გახსენდება სიზმარი – ჯერ შენ ტირი, მერე – მე,
გვიცქერიან ზერელედ – არავის ვებრალებით.

სილამაზე მჩატე და უჩინარი სულია,
ითხოვს უხმო შელოცვას და შორიდან ფერებას,
საკუთარი სხეულის ჯავრზე მილურსმულია
ხათრად გადმოთარგმნილი ჩვენი ბედნიერება.

მიახლოება

ფოთოლ-ფოთოლ იგრძნობა ჩამოღვრილი სინათლე,
სადღაც ღელე ღარღილობს და ჩიტის ხმა მოისმის;
თავის სანუგეშებლად ისევ ტყეებს მივმართე
და მოძრავი ჩრდილები ნაბიჯ-ნაბიჯ მოვისხი.
დამაქვს გულუბრყვილობა – ზეზეული ხალისი,
თუ მუდმივი სასჯელი – მეოცნებედ დარჩენა,
ჭრელი ჭიამარია ხელზე ხათრად დავისვი
და ცის შესახარებლად გაწვდილი მაქვს მარჯვენა.
ბუნდოვანი ბნედა და ნეტარება ერთია -
მარტოობის აჩრდილი შეიფარებს ორთავეს;
იტყვი – „მამაზეციერს კალთა დაუბერტყია“ –
სერებს თეთრი თხებივით ტყემლები რო მორთავენ.
მზერამ სიცარიელეს მოუქსოვა სამოსი,
სამოსს გარეთ – კლდეები აშვერილი ეშვებად;
როცა ცხენის კუდივით ქარი ღრუბელს გამოსკვნის –
ციდან ელვის მათრახიც ამ დროს ჩამოეშვება.
გაულანდავ მღვიმეთა მიღმა ფიქრის ჭერია,
ბუდეებიც შენდება – ფანტაზიას ვენდობი...
თითქმის არ გამიგია, ისე ჩავცდი ლელიანს,
ესეც – სვენებ-სვენებით ავლილია ფერდობი.
მინდორი და წყალია მოლივლივე ყოველთვის,
შუბლზე – ცივი ხვითქია, მოთესილი მარცვლებად;
გული უკან იბრუნებს, რო მინდა და რო ვერ ვთქვი
და ამიტომ საცაა ყელში ამომაწვება.
ამო-ამოვილოცე, ამჩატება ვიგრძენი
თუ ფეხდაფეხ ავყევი აჩემებულ ვედრებას;
და ნიავი – დამფრთხალი, უსხეულო ფრინველი
ამ დროს გაიშრიალებს და ცას შეეკედლება.
მისხალ-მისხალ ვამოწმებ ყოველ გადაბიჯებას
და ხელდახელ ჯამდება დაცემა და ადგომა;
მაგრამ მაინც არ ვიცი, რა სიცოცხლედ მიჯდება,
რა სიკვდილად მიჯდება ყოველი დღის დადგომა.
თრთოლვამ გადაიარა გაფითრებულ სახეზე
და ტყვეების დუმილი აიტკიეს ყურებმა:
ამ დროს უფრო მაშინებს, ამ დროს უფრო მაქებებს,
ან დროს უფრო მამძიმებს კენჭის გახმაურებაც.
შეთავსება ვისურვე უსხეულო ლანდებთან,
თუ დამსხვრევა ვისურვე უხილავი ხუნდების;
მიწიერი ყაყანი – ფეხდაფეხ რომ დაგვდევდა –
მორცხვად გადმოთარგმნილი ზუზუნია ფუტკრების.
როცა დაღლილ თვალებზე ქარი ჩამოეკიდა.
და ჩანჩქერის ფეთება თავის საქმეს აკეთებს,
მაგონდება, ასეთ დროს – ქალი შექმნეს ნეკნიდან
და სამოთხის კარები სამუდამოდ ჩაკეტეს.
რაა, რო ვემალები, ვითომ მართლა არ ვიცი, რასაც ორმაგ
სოფელში მხოლოდ ერთი როლი აქვს;
ფიჩხის ყოველ გატეხვას მაჯისცემად განვიცდი
და ხეების შრიალი მთების სუნთქვა მგონია.
შიში მაინც შიშია, აშკარაც და ფარულიც,
ხელი ვერ შეგვიშლია – როცა უნდა, გვეწვევა;
ერთადერთი შეწევნა
არის ბრმა სიყვარული –
ღმერთის ბრმა სიყვარული –
ერთადერთი შეწევნა.
ჰა, ყომრალი ბინდები.
ბოლო სხივიც ჩავიდა,
ფუყე-ფუყე სხეულში
ჩამყუდროვდნენ ბორცვები;
გადავჯდები ქარონის
ნავში ნოეს ნავიდან
და მშობლიურ სანახებს
ხელს დავუქნევ მოწყენით...

ფარნა რაინა

ქართული ენის საღიდებელი...

ნათელა დეკანოზიშვილს

1
სასწაულო დედაენავ,
ჯადოსნურო ქართულო,
ათას ცეცხლში გამოვლილო, –
სვე – ჯვარცმის და...
გზა – რთულო...

2
მარადი და უკვდავი ხარ, –
ვერვინ გნახავს დღემოკლეს,
გწვავდნენ, მაგრამ ... არ დაიწვი,
გკლავდნენ, მაგრამ ... ვერ მოგკლეს...

3
ჭირშიც, ლხინშიც ჩვენთან ხარ და...
გული შენთვის გვიღელავს,
აკვნიდანვე, შენ ხარ ჩვენი –
ტირილიც და სიმღერაც...

4
ცამეტ ანბანს მხარს უმშვენებ, –
მზე ხარ და ... მზის სადარი,
შენზე უფრო სხივოსანი
ენა ცის ქვეშ სად არი?..

5
შენ ხარ მტკვარიც, ალაზანიც,
თერგიც, რიონ – ენგურიც ...
შენი ღვიძლი შვილებია –
სვანურიც და მეგრულიც ...

6
მტერი, ზოგჯერ, ჯიქურ გებრძვის
ხან, – ჩუმია, ვერაგი,
მაგრამ... მუხის ჯიშს და ჯილაგს
ვერა ძალა ვერ აღგვის...

7
შენ ხარ ჩვენი იარაღი, –
მტერს რომ მტვერი ავარდეს,
მოყვრისთვის კი – საენძელო,
საიე და სავარდე...

8
ხან გვაგონებ ცისკრის სიცილს,
მთვარის ჩანჩქერს, დილის მადლს,
შენ ხარ ჩვენი ყოფნის, არსის –
ავგაროზი, თილისმა...

9
ხან, თუ უფლის ჩონგური ხარ,
სალამური – მეცხვარის,
ხან – ჟღურტულით მონავარდე:
მაკრატელა მერცხალი...

10
ხან – მერანი, მოჯირითე,
ხან – მერანის მხედარი,
აშვებულო, ამირანო,
ერი შენით მხნედ არი ...

11
შენ ხარ: „მრავალჟამიერიც,“
„ლილეცა“ და „ჩაკრულოც“ ...
ხან – ღრუბლებში მოსრიალევ,
ელვავ, ცაზე გაკრულო ...

12
ბევრმა – გზები დაგიისრა
ხან – გული და ხან – ტანი...
მაინც ისევ პიტალო ხარ
მამაცი და ამტანი...

13
ვინ – შიგნიდან გიორგულა,
შენი შვება შელახვრა,
მაინც – ფუძის: საინგილოს,
სუნთქვა ისევ შენა ხარ...

14
შენ ტაოც ხარ... და კლარჯეთიც,
ზედ რომ დარდით მივებით,
ფერეიდნელ სისხლთა, ხორცთა, –
ცხელი ცრემლის მძივებიც...

15
ჩვენო თმენავ, –– იობისა,
ჩვენი გენის ალამო,
თუ რამ გვიხსნა გაქრობისგან
შენი სხივის ძალამო...

16
შენ – ერთსა გაქვს გამძლეობა:
ყველა – მუხის, ყველა – ხის,
შენ ხარ ჩვენი პურის ყანაც,
ბაღნარიც და ვენახიც...

17
შენი ტყვეა დროის სიტყვა, –
ფიქრსა და აზრს აუნჯებ,
განძის ზღვავ და ოკეანევ,
საუნჯეთა საუნჯევ...

18
როგორ უფრო გალამაზდი,
ხამს, ფარნავაზს ენახა,
შენ ხომ ჩვენი ღმერთების და
ბულბულების ენა ხარ...

19
შენ ხარ ენა სიბრძნისა და
გამარჯვების, ვაშასი,
დიდი შოთას, ილიასი,
აკაკის და ვაჟასი...

20
შენ ხარ: ჩვენი ზეცის კიბე,
სახელიც და დიდებაც,
შენით, ჩვენი ძირ-ფესვი და...
უკვდავება ბრწყინდება...

21
სადაც შენი მზე ანათებს,
სამოთხეა ის მხარე,
სიხარულად, სიყვარულად:
იბრწყინე და იხარე...

22
შენით ვცდილობთ, მხოლოდ შენით, –
არ გამოგვრჩეს მთავარი, –
შენ ხარ ჩვენი გორგასალი,
დავითიც და თამარიც...

23
დემეტრეც ხარ, გიორგიც ხარ,
ჩვენი რწმენით შველაც ხარ, –
წამებული შუშანიკიც,
ქეთევანიც შენა ხარ...

24
შენ ერეკლეს ხმალიცა ხარ
და ქოროღლის ისარიც...
ვინც სიცოცხლეს განაცვალებს,
გვწამს, ქართველი ის არი...

25
ბედნიერი შენით არის
ივერთ ძე თუ ასული,
აზრიც შენ ხარ სიცოცხლისა, –
საწყისიც და სასრულიც...

26
შენით, – ლაღად დაარწივდნენ, –
დავაუკაცდნენ, დაქალდნენ,
შენ ხარ ჩვენი გუთნისდედაც, –
დასაბამით, აქამდე...

27
ვისაც ცნობაც, გრძნობაც, ნიჭიც,
აქვს იოტიც – გაგების,
შენ ხარ ჩვენი სულის ხატი, –
მოვლენილი განგების...

28
ფასკუნჯიც ხარ, ასფურცელაც,
ნაგლეჯ მიწებს ნაკლულობ,
შენ ნამდვილი წიქარაც ხარ,
ნაღდო, განა ზღაპრულო?..

29
ცხრა მზე ხარ და... ცხრა ნათება...
ცხრა წყარო და... ცხრა თასი...
ორფეოსის ენაც შენ ხარ, –
სასწაული – ათასი...

30
თავს ვიწონებთ დედაენით,
გვმატებ ძალას, ღირსებას,
ქართულ სიტყვას როცა ვისმენთ,
დღეც სინათლით ივსება...

31
შენ იყავი ბრძოლის ველიც, –
დიდგორიც და მარაბდაც,
მეხთატეხა სპარსთა, თურქთა,
მონღოლთა და არაბთა...

32
ავი ბედი, რაც არ უნდა
გვაწამებდეს, შარობდეს,
დედაენავ, სანამ ბრწყ-
ინავ,
დავღამდებით
აროდეს...

33
ცაზე, – სანამ მზე
ანათებს, –
მიწის კოცნით
გართული,
იდიადე, დაილოცე
დედაენა,
ქართული !!!

ორბანს NATO თავის ჭკუაზე დაჰყავს!

უნგრეთი არ მიიღებს მონაწილეობას NATO-ს ფარგლებში უკრაინის სამხედრო და ფინანსურ მხარდაჭერაში, თუმცა არ დაბლოკავს მოკავშირეთა აღნიშნულ ძალისხმევას

უნგრეთი არ მიიღებს მონაწილეობას NATO-ს ფარგლებში უკრაინის სამხედრო და ფინანსურ მხარდაჭერაში, თუმცა არ დაბლოკავს მოკავშირეთა აღნიშნულ ძალისხმევას, – ამის შესახებ ბუდაპეშტში გამართული შეხვედრის შემდეგ NATO-ს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა განაცხადეს.

როგორც სტოლტენბერგმა აღნიშნა, ის ელოდება, რომ ვაშინგტონში ივლისში დაგეგმილ **NATO**-ს სამიტზე მოკავშირეები შეთანხმდებიან ნატოს წამყვან როლზე უკრაინისთვის უსაფრთხოების დახმარებისა და უკრაინელი სამხედროების მომზადების უზრუნველყოფასა და კოორდინაციაში, ასევე გრძელვადიან ფინანსურ მხარდაჭერაზე. სტოლტენბერგის განცხადებით, ორბანმა მკაფიოდ განაცხადა, რომ უნგრეთი ნატოს ამ ძალისხმევაში მონაწილეობას არ მიიღებს.

„ჩვენ განვიხილეთ სიტუაცია უკრაინაში, **NATO**-ს სამიტზე მე ველოდები, რომ მოკავშირეები შეთანხმდებიან ნატოს წამყვან როლზე უკრაინისთვის უსაფრთხოების დახმარებისა და უკრაინელი სამხედროების მომზადების უზრუნველყოფასა და კოორდინაციაში. ასევე ველოდები, რომ მოკავშირეები შეთანხმდებიან გრძელვადიან ფინანსურ მხარდაჭერაზე სამხედრო დახმარების მისაწოდებლად. ეს უზრუნველყოფს პროგნოზირებადობას და ანგარიშვალდებულებას, რომელიც უკრაინას სჭირდება. პრემიერ-მინისტრმა ორბანმა მკაფიოდ განაცხადა, რომ უნგრეთი არ მიიღებს მონაწილეობას ნატოს ამ ძალისხმევაში და მე ვიღებ მის პოზიციას. მოხარული ვარ, რომ დღეს მე და პრემიერ-მინისტრი შევთანხმდით უკრაინის მიმართ ნატოს მხარდაჭერაში უნგრეთის არმონაწილეობის შესახებ. ამ ქმედებებში მონაწილეობას არ მიიღებს არც ერთი უნგრელი სამხედრო და არანაირი უნგრული ფინანსები არ იქნება გამოყენებული მათ მხარდასაჭერად. ამავე დროს, პრემიერ-მინისტრმა დამარწმუნა, რომ უნგრეთი არ შეეწინააღმდეგება ამ ძალისხმევას და საშუალებას მისცემს სხვა მოკავშირეებს, წინ წაიწიონ. მან დააადასტურა, რომ უნგრეთი გააგრძელებს ნატოს წინაშე ვალდებულებების სრულად შესრულებას“, – განაცხადა იენს სტოლტენბერგმა.

თავის მხრივ ორბანმა აღნიშნა, რომ სამხედრო სფეროში ნებისმიერ ოპერაციაში მონაწილეობა შეიძლება, იყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი. მისი თქმით, უნგრეთმა ნატოს გენერალური მდივნისგან მიიღო გარანტიები, რომლებსაც ითხოვდა.

პრემიერ-მინისტრმა ასევე თქვა, რომ უნგრეთი რჩება ნატოს ერთგულ წევრად და გააგრძელებს ალიანსის ფარგლებში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას.

„შეხვედრაზე ჩვენ განვიხილეთ უნგრეთსა და **NATO**-ს შორის ურთიერთობები. მე შევახსენე **NATO**-ს გენერალურ მდივანს, რომ უნგრეთი არის **NATO**-ს ლოიალური და ერთგული წევრი. ამჟამად €ეთშ-ს ოპერაციებში ჩართულია 1 300 უნგრელი სამხედრო. ჩვენ **NATO**-ს წევრებს შორის იმ მცირე რაოდენობის ქვეყნებს შორის ვართ, რომლებიც ვაკმაყოფილებთ ყველა აღებულ პასუხისმგებლობას და ვალდებულებას თავდაცვით ხარჯებთან დაკავშირებით. ჩვენი თავდაცვითი ხარჯები აღემატება მშპ-ს 2%-ს. ჩვენ ასევე ჩართულები ვართ საჰაერო პატრულირებაში სლოვაკეთთან და სლოვენიასთან, ზოგჯერ ასევე ბალტიის რეგიონში. ჩვენ ვასრულებთ **NATO**-ს სამოკავშირეო როლს აფრიკისა და ცენტრალური აზიის მნიშვნელოვანი ქვეყნებისთვის. ეს არის ის წვლილი, რომელსაც უნგრეთი სთავაზობს €ეთშ-ს, რათა ის უფრო ძლიერი გახადოს. ეს არის ვალდებულებები, რომელთა შესრულებასაც უნგრეთი გააგრძელებს მომავალშიც“, – განაცხადა ორბანმა.

NATO-ს გენერალურმა მდივანმა კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ნატო არის თავდაცვითი ალიანსი და მისი მთავარი ამოვანა არა ომის წარმოება, არამედ ომის თავიდან აცილებაა.

საქართველოში 2021-2022 წლებში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2023 წელს ეკონომიკა 7.5 %-ით გაიზარდა

„გლობალური ეკონომიკის პერსპექტივების“ შესახებ მსოფლიო ბანკის უახლესი ანგარიშის თანახმად, 2024 წელს, პირველად ბოლო სამი წლის განმავლობაში მოსალოდნელია გლობალური ეკონომიკის სტაბილიზაცია, თუმცა უახლესი ისტორიული სტანდარტებით სუსტ დონეზე.

საქართველოში 2021-2022 წლებში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შემდეგ, 2023 წელს ეკონომიკა 7.5 პროცენტით გაიზარდა, რაც მხარდაჭერილი იყო ინვესტიციების მაღალი მაჩვენებლებით. ეკონომიკური აქტივობა 2024 წლის დასაწყისში სტაბილურობას ინარჩუნებს და 2024 წლის პირველ 4 თვეში წლიურად 9 პროცენტით გაიზარდა.

• 2023 წელს ინფლაცია მკვეთრად შემცირდა, რაც განპირობებული იყო დაბალი სასაქონლო ფასებით, განსაკუთრებით სურსათსა და საწვავზე და ქართული ლარის გამყარებით. წლიურმა ინფლაციამ 2024 წლის მაისში 2.0 პროცენტი (წლიური) შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 1.7 პროცენტი იყო (წლიური). მოსალოდნელია, რომ ინფლაცია 2024 წლის ბოლოსთვის 3-პროცენტიან სამიზნე მაჩვენებელს მიაღწევს.

• პროგნოზების მიხედვით 2024 წელს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 5.2 პროცენტამდე შემცირდება, მკაცრი მონეტარული პოლიტიკის, ფულადი გზავნილების შემოდინების შემცირებისა და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ზრდის შენელების გამო.

• სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებით, არსებობს მნიშვნელოვანი რისკები, მათ შორის, გეოპოლიტიკური გაურკვევლობიდან გამომდინარე ფაქტორები.

გლობალური ზრდა პროგნოზის მიხედვით, 2024 წელს 2.6%-ის დონეზე შენარჩუნდება, სანამ 2025-26 წლებში 2.7%-იან საშუალო მაჩვენებელს მიაღწევს. აღნიშნული მნიშვნელოვნად დაბალია პანდემიამდელი ათწლეულის 3.1%-იან საშუალო მაჩვენებელზე. ქვეყნებში, რომლებზეც ერთობლივად მსოფლიოს მოსახლეობის და მთლიანი შიდა პროდუქტის 80% მოდის, 2024-26 წლებში ეკონომიკური ზრდა სავარაუდოდ გაცილებით ნელა გაგრძელდება, ვიდრე პანდემიის წინა პერიოდში.

ზოგადად განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი 2024-25 წლებში საშუალოდ 4% იქნება, რაც ოდნავ ნაკლებია 2023 წლის მონაცემზე. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში 2024 წელს მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის დაჩქარებაა 5%-მდე, 2023 წელს არსებულ 3.8%-თან შედარებით. თუმცა, იანვრის შემდეგ, 2024 წლის ეკონომიკური ზრდის პროგნოზები ყოველი ოთხი დაბალშემოსავლიანი ქვეყნიდან სამისთვის ვარდნას ასახავს. მოწინავე ქვეყნებში ზრდის მაჩვენებელი 2024 წელს სტაბილურობას შეინარჩუნებს 1.5%-ის დონეზე სანამ 2025 წელს 1.7%-მდე მოიმატებს.

„პანდემიით, კონფლიქტებით, ინფლაციით და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებით გამოწვეული ძვრებიდან ოთხი წლის შემდეგ, როგორც ჩანს, გლობალური ეკონომიკა სტაბილიზაციას იწყებს. თუმცა, ეკონომიკური ზრდა შედარებით ნელია, ვიდრე 2020 წლამდე. პერსპექტივები მსოფლიოს უღარიბესი ქვეყნებისთვის კიდევ უფრო შემაშფოთებელია. ისინი ვალის მომსახურებით, შეზღუდული სავაჭრო შესაძლებლობებითა და კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოვლენების საფრთხის წინაშე დგანან. განვითარებადმა ქვეყნებმა უნდა გამონახონ გზები კერძო ინვესტიციების ხელშესაწყობად, შეამცირონ სახელმწიფო ვალი და გააუმჯობესონ განათლება, ჯანდაცვა და საბაზისო ინფრასტრუქტურა. **უღარიბესი 75 ქვეყანა, რომელიც აკმაყოფილებს განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან კონცესიური დახმარების მიღების მოთხოვნებს, ვერ შეძლებს აღნიშნულის განხორციელებას საერთაშორისო მხარდაჭერის გარეშე,“** – აღნიშნა მსოფლიო ბანკის ჯგუფის მთავარმა ეკონომისტმა და უფროსმა ვიცე-პრეზიდენტმა **ინდერმით გილმა.**

წელს ოთხი განვითარებადი ქვეყნიდან ერთი სავარაუდოდ სიღარიბის უფრო დაბალ დონეზე დარჩება, ვიდრე პანდემიის დაწყებისას, 2019 წელს იყო. ეს მაჩვენებელი ორჯერ მაღალია სუსტ და კონფლიქტით დაზარალებულ ქვეყნებში. უფრო მეტიც, განსხვავება შემოსავლების მიხედვით განვითარებად და მოწინავე ქვეყნებს შორის 2020-24 წლებში კიდევ უფრო გაღრმავდება განვითარებადი ქვეყნების დაახლოებით ნახევრისთვის და 1990-იანი წლების შემდეგ უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწევს. ამ ქვეყნებში შემოსავალი ერთ სულზე, რომელიც ცხოვრების სტანდარტების მნიშვნელოვანი ინდიკატორია, სავარაუდოდ 3%-ით გაიზრდება 2026 წლის განმავლობაში, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება პანდემიამდე არსებულ 3.8%-ს.

გლობალური ინფლაცია 2024 წელს ზომიერი იქნება 3.5%-ის დონეზე, ხოლო 2025 წელს 2.9%-ს გაუტოლდება, მაგრამ კლების ტემპი შედარებით უფრო დაბალია ვიდრე ექვსი თვის წინ იყო ნავარაუდევი. შედეგად ბევრი ცენტრალური ბანკი სიფრთხილეს იჩენს პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთების შემცირებასთან დაკავშირებით. გლობალური საპროცენტო განაკვეთები სავარაუდოდ მაღალ დონეზე შენარჩუნდება ბოლო ათწლეულების სტანდარტების მიხედვით, რაც 2025-26 წლებში საშუალოდ 4% იქნება ანუ დაახლოებით ორჯერ მეტი 2000-19 წლების საშუალო მაჩვენებელზე.

„მიუხედავად იმისა, რომ ფასები სურსათზე და ენერგორესურსებზე ზომიერ დონეს მიუახლოვდა, მსოფლიოს მასშტაბით საბაზო ინფლაცია შედარებით მაღალ დონეზეა და შეიძლება ასე დარჩეს. აღნიშნულმა შესაძლოა მოწინავე ეკონომიკის მქონე ქვეყნების ცენტრალური ბანკები აიძულოს, რომ გადაავადონ საპროცენტო განაკვეთების შემცირება. „ხანგრძლივად მაღალი“ განაკვეთების გარემო მკაცრ ფინანსურ პირობებს და გაცილებით სუსტ ეკონომიკურ ზრდას ნიშნავს განვითარებად ქვეყნებში,“ – განაცხადა მსოფლიო ბანკის მთავარი ეკონომისტის მოადგილემ და სამომავლო პერსპექტივების ჯგუფის დირექტორმა აიჰან კოსემ.

გლობალური ეკონომიკის პერსპექტივების შესახებ მსოფლიო ბანკის უახლეს ანგარიშში ასევე წარმოდგენილია ორი მნიშვნელოვანი ანალიტიკური თავი. პირველი ხაზს უსვამს თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფო ინვესტიცია კერძო ინვესტიციების დასაჩქარებლად და ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად. ის მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინვესტიციების ზრდა განვითარებად ქვეყნებში განახევრდა გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, გასულ ათწლეულში 5%-იან საშუალო მაჩვენებლამდე დაცემით. და მაინც, საჯარო ინვესტიციები შეიძლება დარგობრივი პოლიტიკის მძლავრი ბერკეტი აღმოჩნდეს. საკმარისი საბიუჯეტო სივრცის და ეფექტიანი სახელმწიფო ხარჯვითი პრაქტიკის მქონე განვითარებადი ქვეყნებისთვის საშუალოვადიან პერიოდში საჯარო ინვესტიციების მატებას მშპ-ის 1%-ით წარმოების გამოსავალის 1.6%-ით ზრდა შეიძლება მოჰყვეს.

მეორე ანალიტიკური თავი იკვლევს, თუ რატომ განიცდიან მცირე ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა დაახლოებით 1.5 მილიონი ან ნაკლებია, ქრონიკულ ფისკალურ სირთულეებს. 35 განვითარებადი ქვეყნის ორ მეხუთედს, რომელიც მცირე ქვეყნებითაა წარმოდგენილი, კრიტიკული მდგომარეობა ემუქრება ან უკვე ასეთ მდგომარეობაში იმყოფება. ეს დაახლოებით ორჯერ მეტია სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით. ყოვლისმომცველი რეფორმებია საჭირო მცირე ქვეყნების ფისკალურ გამოწვევებზე რეაგირებისთვის. შემოსავლების მიღება შესაძლებელია გაცილებით უფრო სტაბილური და დაცული საგადასახადო ბაზიდან. ხარჯვითი ეფექტიანობა შესაძლებელია გაუმჯობესდეს განსაკუთრებით ჯანდაცვაში, განათლებასა და ინფრასტრუქტურაში. ფისკალური ჩარჩოები შეიძლება მიღებულ იქნეს ბუნებრივი კატასტროფებისა და სხვა შოკების მაღალი სიხშირის სამართავად. მიზანმიმართული და კოორდინირებული გლობალური პოლიტიკა შეიძლება ასევე მიზანშეწონილი იყოს ამ ქვეყნების უფრო მდგრად ფისკალურ გზაზე დასაყენებლად.

ᲔᲠᲗᲝᲑ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲛ ᲣᲜᲓᲠᲔᲗᲘ 200 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲔᲕᲠᲝᲗᲘ ᲓᲐᲐᲯᲐᲠᲘᲛᲐ

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ მართლმსაჯულების სასამართლომ მიგრაციული პოლიტიკის ფარგლებში დაკისრებული ზომების შეუსრულებლობისთვის უნდრეთი 200 მილიონი ევროთი დააჯარიმა. დადგენილი ზომების შესრულების ვადაგადაცილების თითოეულ დღეს უნდრეთს დაეკისრება 1 მილიონი ევროს ოდენობის ჯარიმა.

2020 წლის დეკემბერში სასამართლომ დაადგინა, რომ უნგრეთი არ აკმაყოფილებს ევროკავშირის კანონმდებლობას მიგრანტებთან მოპყრობასთან დაკავშირებით და დაავალა ბუდაპეშტთან მიგრაციული პოლიტიკის ცვლილება. სასამართლოს განცხადებით, მისი გადაწყვეტილებების შეუსრულებლობა წარმოადგენს ევროკავშირის კანონმდებლობის უპრეცედენტო და უკიდურესად სერიოზულ დარღვევას. სასამართლოს დადგენილებით, უნგრეთმა არ მიიღო აუცილებელი ზომები თავშესაფრის მაძიებელთა საერთაშორისო დაცვის პროცედურის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით

2020 წლის გადაწყვეტილების შესასრულებლად.

სასამართლოს დადგენილებით, ბუდაპეშტი არ იცავდა თავშესაფრის მაძიებელთა უფლებას, დარჩენილიყვნენ უნგრეთში მათ განაცხადთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ამგვარი მოქმედებით უნგრეთი უგულებელყოფდა თანამშრომლობის პრინციპს და მიზანმიმართულად არიდებდა თავს ევროკავშირის ერთიანი პოლიტიკის გავრცელებას.

უნგრეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მიგრანტებს თავშესაფრის მოთხოვნა შეუძლიათ მხოლოდ უნგრეთის საზღვრებს გარეთ, მეზობელ სერბეთსა და უკრაინაში მდებარე მის საელჩოებში. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემთხვევაში, პირებს ჩვეულებრივ უკან აბრუნებენ.

ᲘᲢᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲔᲕ-ᲒᲐᲛᲝᲬᲔᲕᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ პარლამენტში დეპუტატები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ. ინფორმაციას ამის შესახებ იტალიური მედია ავრცელებს.

როგორც იტალიური მედია იუწყება, პარლამენტარებს შორის ჩხუბი დიფერენცირებული ავტონომიის შესახებ კანონპროექტის განხილვისას მოხდა.

ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐ ᲔᲕᲠᲝᲗᲘ ᲕᲔᲦᲐᲠ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲡ!

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ბირჟის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, 13 ივნისიდან „სავალუტო ბაზარზე და ძვირფასი მეტალების ბაზარზე ვაჭრობა განხორციელდება ყველა ინსტრუმენტით, გარდა აშშ დოლარის და ევროსი“.

რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ ბირჟის მიღმა დოლარით და ევროთი ვაჭრობა გაგრძელდება.

მოსკოვის ბირჟა რუსეთის ფინანსური სტრუქტურის მნიშვნელოვანი ნაწილია, სადაც ბანკები, ბიზნესი და ინვესტორები ვალუტას ყიდულობენ და ყიდიან. რუსეთის ცენტრალური ბანკი სწორედ ამ ვაჭრობის შედეგების მიხედვით ადგენდა ეროვნული ვალუტის, რუბლის კურსს.

ამიერიდან რუსეთის ცენტრალური ბანკი რუბლის კურსს დაადგენს ბანკების ანგარიშგების და ბირჟის მიღმა ვაჭრობის მონაცემების მიხედვით. ანალიტიკოსების განმარტებით, კურსის განსაზღვრა გაუმჭვირვალე გახდება.

12 ივნისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინაში ომის გამო რუსეთის წინააღმდეგ მოქმედი სანქციები გააფართოვა და ჩამონათვალს მოსკოვის ბირჟაც(**MOEX**) დაამატა.

ᲯᲐᲑᲐ ᲡᲐᲛᲣᲨᲘᲐ SDSU-ᲘᲡ ᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲓᲐᲔᲡ�წᲠᲝ

თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ჯაბა სამუშია სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) მრჩეველთა საბჭოს შეხვედრის ახალ ეტაპს დაესწრო. ღონისძიებაზე საუბარი შეეხო პარტნიორი უნივერსიტეტების ცნობადობის ამაღლების აუცილებლობას და საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით ურთიერთობების გაღრმავებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ჯაბა სამუშიამ **SDSU** -ისა და თსუ-ის საერთო მრავალფეროვანი მიმდინარე პროგრამების შესახებ ისაუბრა და ხაზი გაუსვა ქართველი კურსდამთავრებულების წარმატებას.

„ჩვენს პროგრამებს ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერება (ქართული, ინგლისური) მიღებული აქვთ ამერიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების სააკრედიტაციო საბჭოს (**ABET**) აკრედიტაცია. ასევე, აშშ-ის ქიმიკოსთა საზოგადოების (**ACS**) აკრედიტაცია ქიმია-ბიოქიმიის მიმართულებით. მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, თუ რა დოზით არიან დაინტერესებული ქართველი სტუდენტები ჩვენი საერთო პროგრამებით. ამაზე მეტყველებს სტატისტიკა, რომლის თანახმადაც მაღალია კონკურენციის ინდექსიც. აღსანიშნავია წარმატებული კურსდამთავრებულების მიღწევებიც. მათი უმრავლესობა დასაქმებულია და ისინი ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტები არიან დასაქმების ბაზარზე. ვისურვებდით, რომ გარდა არსებული პროგრამებისა, თანამშრომლობა გავაგრძელოთ სხვა პროგრამებითაც,“ – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის გიორგი ამილახვარის თქმით, საქართველო გამოთქვამს მზაობას, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან გააგრძელოს თანამშრომლობა, რათა შენარჩუნდეს პროექტის დადებითი შედეგები. „ჩვენი პარტნიორობის საფუძველზე, გვაქვს არაერთი აკრედიტებული პროგრამა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მინდა მადლობა გადავუხადო აშშ-ის მთავრობას, ჩადებული რესურსისთვისა და ინვესტიციისთვის, რადგან სწორედ მათი დახმარებით ვითარდება უმაღლესი განათლება ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ერთად საქართველოში. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ უმაღლესი განათლების მიმართულებით, ევროპის სხვადასხვა ქვეყანასთან. ჩვენმა ურთიერთობამ დაამტკიცა, რომ განათლებას საზღვრები არ აქვს. მინდა აღვნიშნო, რომ საქართველო კვლავ არის მზად, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში გავაგრძელოთ თანამშრომლობა,“ – განაცხადა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ **SDSU**-ის პარტნიორი უნივერსიტეტების – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებიც.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში 2014 წლიდან ფუნქციონირებს და სტუდენტებს სთავაზობს სამაკალავრო პროგრამებს მეცნიერების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის მიმართულებით. აღნიშნული ინიციატივა განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასთან თანამშრომლობით, როგორც მეორე კომპაქტის ერთ-ერთი ნაწილი.

ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲐᲠᲙᲐ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲔᲕᲠᲝᲠᲐᲖᲔ“ 40-ᲐᲗᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲐ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციის მხარდაჭერით, „საქართველოს ფოსტამ“ მარკის პრეზენტაცია გამართა, რომელიც საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიულ გამარჯვებას ეძღვნება.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიმართეს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გურამ გურამიშვილმა, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ იოსებ ბაღათურიამ, საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ და ვეტერანმა ფეხბურთელმა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრმა გოჩა ჯამარაულმა. ღონისძიებას ესწრებოდნენ ვეტერანი ფეხბურთელები და საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების გულშემატკივრები. საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ გოჩა ჯამარაულს საქართველოს ეროვნული ნაკრების ისტორიული გამარჯვებისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკის პირველი ეგზემპლარი გადასცა.

მარკის ავტორი ბაადურ ქობლიანიძეა.

„ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან არსებულმა მარკების კომისიამ, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად, მოკლე ვადებში შეიმუშავა და დაამტკიცა მარკის დიზაინი, რომელიც ეხება ისტორიულ გამარჯვებას – საქართველოს ნაკრების გასვლას ევროპის ჩემპიონატზე. აღსანიშნავია რომ მარკა შედგება ბლოკისგან, რომელიც მოიცავს 3 შინაარსს – იგი აღწერს ძირითადად იმ ემოციებს, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ გამარჯვების მომენტში ასახულ სცენებთან“ – აღნიშნა გურამ გურამიშვილმა.

ქართული მარკა 40.000-იანი ტირაჟით მიმოქცევაშია 2024 წლის 12 ივნისიდან და ხელმისაწვდომია საქართველოს ფოსტის 80 სერვისცენტრში საქართველოს მასშტაბით. საფოსტო გზავნილების განხორციელება უკვე აღნიშნული მარკით არის შესაძლებელი.

ᲘᲐᲠᲝᲜᲣᲠᲘ გამოცემა Transit Magazine საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესახებ სტატიას ავრცელებს: „აღმოაჩინეთ ქართული სამზარეულო ცივილიზაციების გზაჯვარედინზე“ – იაპონური სამოგზაურო ჟურნალი **Transit Magazine** საქართველოს შესახებ ვრცელ სტატიას აქვეყნებს.

ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲘᲙᲘᲢᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲔᲤᲔᲠᲔᲑᲐ

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, მოგზაურმა ჟურნალისტმა მიკიტო მორიკავამ საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის პრესტურის ფარგლებში იმოგზაურა.

მიკიტო მორიკავამ იაპონელ მკითხველს ძველი თბილისი, დედაქალაქის ცხოვრების რიტმი, კულტურა, კვების ობიექტები, ღვინის მარნები და მუზეუმები გააცნო.

„ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს და მის დედაქალაქს გაზაფხულზე ვეწვიე. საქართველოში თქვენ აღმოაჩენთ სხვადასხვა კულტურის კომბინაციას, ეს არის კულტურული სამყარო გამორჩეული მოდითა და ღამის კლუბებით. თბილისი მიმზიდველია ნატურალური ღვინითა და კერძებით. აქ ერთ-ერთ რესტორანში ქართული სამზარეულოს შარმი შევიგრძენი. “,-წერს მიკიტო მორიკავა.

Transit Magazine-ის მოგზაური ჟურნალისტი მკითხველს ქართველ მეღვინეებს აცნობს და ინფორმაციას აწვდის ღვინისა და კერძების ფესტივალის შესახებ, რომელიც თბილისში ტარდება.

◎ დღეიდან გერმანიაში...

ევროპული ფეხბურთის მე-17 გაერლვება

არის, ასრულდა ოცნება – დღეს გერმანიაში მასპინძელთა და შოტლანდიის მატჩით იწყება ევროპის მე-17 საფეხბურთო ჩემპიონატი, რომელიც პირველია, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ვქომაგობთ და არა რომელიმე გრანდს.

ისტორიამ ისე ინება, რომ, მართალია, დებიუტანტები ვართ, მაგრამ საპატიო ტიტულის სამი მფლობელი მაინც გვყავს **მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველისა** და **გივი ჩოხელის** სახით, რომლებმაც მწვერვალი 1960 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრების მაისურით დაიპყრეს. დავძენთ, რომ მეოთხის შანსიც გვქონდა, მაგრამ **ზაურ პალოევს** არ უთამაშია.

როცა ტრადიციებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა მივაგოთ სათანადო პატივი დანარჩენ ქართველ პრიზიორებსაც, ვინც მოგვიანებით მოიხვეჭეს ვერცხლის მედლები: **მურთაზ ხურცილავა, რევაზ ძოძუაშვილი** (1972) და **თენგიზ სულაქველიძე** (1988).

ვიდრე თანამედროვე თანამემამულეებზე გადავალთ, ზოგიერთი საინტერესო ფაქტი გავიხსენოთ ახლო წარსულიდან, აგრეთვე სტატისტიკურ მონაცემებსაც გავეცნოთ:

კონტინენტის ჩემპიონები: 1960 – საბჭოთა კავშირი, 1964 – ესპანეთი, 1968 – იტალია, 1972 – გერმანია, 1976 – ჩეხოსლოვაკია, 1980 – გერმანია, 1984 – საფრანგეთი, 1988 – ჰოლანდია, 1992 – დანია, 1996 – გერმანია, 2000 – საფრანგეთი, 2004 – საბერძნეთი, 2008 – ესპანეთი, 2012 – ესპანეთი, 2016 – პორტუგალია, 2020 – იტალია.

სულ: გერმანია, ესპანეთი – 3-3, იტალია, საფრანგეთი – 2-2, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია, დანია, საბერძნეთი და პორტუგალია – თითოჯერ. **კურიოზი** – ფეხბურთის სამშობლოს – ინგლისის გუნდი ტახტზე ჯერ არ ასულა.

ყველაზე მეტი მონაწილეობა: **გერმანია** (გფრ) – 13.

ყველაზე მეტი ტურნირი, მატჩი და გოლი: **კრისტიანუ რონალდუ** (პორტუგალია) – შესაბამისად 5, 24 და 14.

ყველაზე მეტი გოლი ერთ ჩემპიონატში: **მიშელ პლატინი** (საფრანგეთი) – 9 1984 წელს.

ყველაზე უხვგოლიანი შეხვედრა – **საფრანგეთი – იუგოსლავია 4:5 (1960).**

გერმანელი მცველი **გერტი ფოგტსი** ერთადერთია, ვისაც ევროპის ჩემპიონატი მოგებული აქვს როგორც მოთამაშეს (1972), ისე მწვრთნელს (1996).

რაც შეეხება დამოუკიდებელ ქართულ ნაკრებს, მისი რეკორდსმენია **გურამ კაშია** (113 მატჩი), ხოლო საუკეთესო ბომბარდირი – **შოთა არველაძე** (26 გოლი). მოქმედთაგან ყველაზე მეტი ბურთი აქვს გატანილი **ხვიჩა კვარაცხელიას** – 15. მანვე ყველას აჯობა შესარჩევ ციკლში – 4 გოლი.

გერმანიაში ითამაშებენ:

მეკარეები – გიორგი ლორია (77 მატჩი), ლუკა გუგეშაშვილი (1), გიორგი მამარდაშვილი (17).

მცველები – ოთარ კაკაბაძე (61), ლაშა დვალი (32, 1 გოლი), გურამ კაშია (113, 3), სოლომონ კვირკველია (58), გიორგი გოჩოლეიშვილი (8), ლუკა ლოჩოშვილი (10, 1), გიორგი გველესიანი (1), ჯემალ ტაბიძე (15, 1).

ნახევარმცველები – გიორგი ქოჩორაშვილი (8), ზურიკო დავითაშვილი (35, 6), გიორგი ჩაკვეტაძე (25, 8), ნიკა კვეკვესკირი (60), ოთარ კიტეიშვილი (37,3), სანდრო ალთუნაშვილი (5), ლევან შენგელია (17,1), ანზორ მექვაბიშვილი (14), გიორგი წიტაიშვილი (17,1), საბა ლობჟანიძე (37, 3), გაბრიელ სიგუა (4).

თავდამსხმელები – ბუდუ ზივზივაძე (26, 8), გიორგი ქვილითაია (38, 6), ხვიჩა კვარაცხელია (30,15), გიორგი მიქაუტაძე (25, 10).

მთავარი მწვრთნელი ვილი სანიოლი

სიმბოლურია, რომ გერმანიაში ჩასულმა ჯვაროსნებმა განაკი ჩვენთვის ტკბილად მოსაგონარი დიუსელდორფის სიახლოვეს – ფელბერტში დასცეს, სადაც მათ პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კოზახიძე** და დედაქალაქის მერი, ქართული ოცნების გენერალური მდივანი და ეროვნული ნაკრების ყოფილი კაპიტანი **პახი პალაძე** ეწვივნენ. გულთბილი შეხვედრის დროს სტუმრებმა გაამხნევეს ბიჭები და წარმატებით გამოსვლა უსურვეს დამდეგ უმნიშვნელოვანეს ფორუმზე, მათგან კი სამახსოვრო მაისურები მიიღეს.

ქართული სპორტის უპრეცედენტო აღმავლობის პროცესი ამ დღეებში მომხდარი მთელი რიგი მრავლისმეტყველი ფაქტებითაც დადასტურდა, კერძოდ, სადებიუტო საერთაშორისო გამოცდა ღირსეულად ჩააბარეს წალენჯიხის იუვენტუსის აკადემიის ნორჩმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც რამდენიმე საგულისხმო გამარჯვება მოიპოვეს პოპულარული იტალიური კლუბის ეგიდით გამართულ თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატში და პირველივე ცდიდან ელიტაში დამკვიდრდნენ, ხოლო სახელოვანმა ფრანგმა ოსტატმა **მამადუ სახომ** გუშინ ნიუ ვიუენ უნივერსიტეტში (რექტორი – **გია გარკალია**), ოფიციალური კონტრაქტი გააფორმა ქუთაისის ტორპედოსთან და საქართველოში ოჯახით დაფუძნდა. აღსანიშნავია, რომ თამაშის პარალელურად, იგი კლუბის სტრუქტურების საქმიანობაშიც აქტიურად ჩაერთვება.

როცა ფეხბურთზე ვსაუბრობთ, საკადრისი პატივი უნდა მივაგოთ სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობის ბიძაშვილად აღიარებულ რაგბისაც, მით უმეტეს მაშინ, როცა უფროსთა მსგავსად, უმცროსი ბორჯღალოსნებიც გვანებივრებენ გრანდებთან ტოლ-სწორი გამკლავებით და არც მათ გამწარებას თაკილობენ. ამჯერად **ლადო კილასონიას** შეგირდთა მსხვერპლი 20-წლამდელებში მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი – ინგლისი გახდა, რაც მოახლოებული მუნდიალის წინ, სადაც ჩვენი მეტოქეები ჯგუფურ რაუნდში ავსტრალია, ირლანდია და იტალია იქნებიან, ოპტიმისტურად განგვაწყობს.

შეგახსენებთ, რომ რაგბის სამშობლოს გუნდის შარშანდელი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში დასანანი პირველი მარცხის შემდეგ ხმაურიანი რევანშით დასრულდა. ასეთივე სცენარით განვითარდა მოვლენები წლეულსაც – თუ „ავჭალაზე“ საწყის ბრძოლაში სტუმრებმა იძალეს – 31:7, საპასუხო ჯახში მასპინძლებმა უმოწყალოდ აღიდგინეს პრესტიჟი – 45:17(!).

და ბოლოს – მიღწევათა ციკლის შთამბეჭდავი გვირგვინი, რამაც, წესით, შინაურთან ერთად უამრავ გარე ავისმოსურნესაც უნდა დაუბშოს საინფორმაციო ღრუ: ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ თბილისი 2025 წლისთვის ევროპულ სპორტულ ქალაქად სცნო! **გაგრძელება იქნება!**

◎ ზაზა დარასელის უკვდავება

სულ უფრო გვეძვირფასება!

ზაზა დარასელი საუკუნის დასაწყისში დაგვემშვიდობა, მაგრამ, როგორც მისი მემორიალის ორგანიზატორი გოჩა ხუნდაძე გვეუბნება, „ზაზას სული დღესაც გვმართავს“.

მართლაც, როცა სამაგალითო მამულიშვილზე ვსაუბრობთ, ბუნებრივად ვგულისხმობთ მარად ჩვენი თანამედროვის ღვიძლი შვილივით ნაამაგარ II არხს, გამორჩეული პიროვნული ღირსებებითა და პროფესიონალიზმით მადლმოსილი საამაყო კოლეგის უკვდავება კი თავადაც ყოფილი ფეხბურთელის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირშია – თურმე, ბატონი ზაზა თავის დროზე ცნობილ „ფშმ“-ში ვლადიმერ ელოშვილთან თამაშობდა და, როცა დილემის წინაშე დამდგარა – ფეხბურთი თუ სწავლა – უპირატესობა განათლებისთვის მიუნიჭებია.

ამ დღეებში ტრადიციული, რიგით 24-ე ღონისძიება მუშტაიდის სტადიონზე გამართული ფინალით დაგვირგვინდა, მანამდე კი...

ტურნირის იდეა ზაზა დარასელის ძველ მეგობარს – აწ განსვენებულ **სერგო კიკალეიშვილს** („ფეოლა“) ეკუთვნის და ამჟამად ყველაზე კორექტული გუნდი მისი სახელობის პრიზით ჯილდოვდება.

მრავალი პრობლემის, მათ შორის ომისა თუ პანდემიის მიუხედავად, მემორიალი ყოველ წელს ტარდება და საწყისი 9 გათამაშების გამარჯვებული II არხი გახდა, შემდეგ ესტაფეტა I არხმა აიტაცა, გამარჯვებულთა შორის „რეპორტიორსაც“ ვხვდებით, უკანასკნელ პერიოდში კი უკვე „აფხაზეთი“ აფხაზეთობს, რაც, დაგვეთანხმებით, სიმბოლურიცაა...

როგორც ყველა კეთილ საქმეს, მემორიალსაც ამკობენ თანადგომის ნიჭით გამორჩეული კაიემანი, რომლებიც ზაზა დარასელის ნათელი ხსოვნისადმი დიდი პატივისცემისა და მოფრთხილების გამო მადლიერებას იმსახურებენ: I არხის გენერალური დირექტორი **თინათინ გერძენიშვილი,** შპს „ტოიოტა კავკასიის“ თავკაცი **ჯოჯი მაცუნო,** კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის კანცლერი **ვახტანგ წივნივაძე**, კომპანია „ბაგრატიონი 1882“, მეღვინეობა „მტევინო“ და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე **გიორგი მამაცაშვილი.**

რაც შეეხება წლევანდელ მემორიალს, „აფხაზეთმაც“ და ტელეკომპანია „ერიმედიამაც“ ნახევარფინალში მომქანცველი ბრძოლები გადაიტანეს, რომლის ბედიც პენალტების სერიაში გადაწყდა, გადამწყვეტი შეხვედრისთვის კი ძალების აღდგენა მხოლოდ დევნილთა გუნდმა მოასწრო – 10:2 და მეოთხედ შემართა ზაზა დარასელის თასი!

გაგაცნობთ სპეციალური პრიზების მფლობელთა ვინაობასაც: საუკეთესო მეკარე – **სანდრო ტეფნაძე** („პოსტივი“, საუკეთესო მცველი – **ნოდარ ასათიანი** („ტოიოტა კავკასია“), საუკეთესო თავდამსხმელი – **რატი არდაზიშვილი** („ერიმედია“), ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი – **ნოდარ ქურციძე** („აფხაზეთი“), ყველაზე კორექტული გუნდი – **„აფხაზეთი“.**

გაისად ზაზა დარასელის საიუბილეო – 25-ე მემორიალზე გეპატიჟებით.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

42 წლის შოთა დონაძე გამოუსწორებელი ნარკობარიგა ყოფილა!

დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების არაერთგზის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დაკავებულ ორ პირს შორის ერთ-ერთი „ევროპული საქართველოს“ წევრის ბესო დონაძის ძმა, 42 წლის შოთა დონაძეა. მასთან ერთად ამავე დანაშაულზე დაკავებულია წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი და ამჟამად პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი 40 წლის მამაკაცი. მათ 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ავტომობილისა და საცხოვრებელი ბინების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკული საშუალება „ალფა პვპ“ და „მეთადონი“, ასევე ნარკოტიკების დაფასოებისთვის საჭირო ნივთები.

13 წლის გოგოს პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე 19 წლის ბიჭი დააკავეს!

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფის ფაქტზე, დაკავებულია 19 წლის მამაკაცი.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ 2024 წლის აპრილში ბრალდებულმა, გამოგონილი სახელით სოციალური ქსელ ,,FACEBOOK“-ის საშუალებით 13 წლის გოგო გაიცნო. გაცნობიდან მალევე, მათ შორის მიმოწერამ მიიღო ინტენსიური ხასიათი, ისინი ყოველდღიურად საუბრობდნენ ერთმანეთთან „Facebook/Messenger“-ის ვიდეოზარების საშუალებით, რა დროსაც ბრალდებულმა დაშინებით და შანტაჟის გზით, დაზარალებული აიძულა მის წინაშე გაშიშვლებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ოჯახის წევრებისთვის ზიანის მიყენებით დაემუქრა.

2024 წლის მაისში ბრალდებულმა არასრულწლოვანი დაზარალებულის 17 წლის დას და მამინაცვალს 13 წლის გოგოს ინტიმური შინაარსის ვიდეოფაილები გადაუგზავნა. ასევე, დაზარალებულის დასაც მოსთხოვა მის წინაშე გაშიშვლება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალებულის ინტიმური ხასიათის ვიდეოჩანაწერების გასაჯაროებით დაემუქრა. უარის მიღების შემდეგ ბრალდებულმა სოციალური ქსელ „FACEBOOK“-ში გამოაქვეყნა დაზარალებულ არასრულწლოვანთან ვიდეოზარებით კომუნიკაციისას გადაღებული ინტიმური შინაარსის ვიდეოჩანაწერები.

დაზარალებული არასრულწლოვნის დედის მომართვის შემდეგ, სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება მყისიერად წარმართა. ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას მის მობილურ ტელეფონში ნახეს 13 წლის გოგოს ინტიმური ხასიათის ვიდეოჩანაწერები, რომლებიც მტკიცებულების სახით იქნა ამოღებული.

ბრალდებული დაკავებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

დანაშაული 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

მარტვილის პოლიციამ განზრახ მკვლელობის მცდელობისა და მუქარის ბრალდებით 2 პირი დააკავა

სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მარტვილის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ძმები – 1979 წელს დაბადებული გ.ხ. განზრახ მკვლელობის მცდელობის, ხოლო 1983 წელს დაბადებული გ.ხ. მუქარის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა გ.ხ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით თანასოფელი 1991 წელს დაბადებული მ.ბ. დაჭრა, შემთხვევის დროს დაზიანება მიიღო 1992 წელს დაბადებულმა ა.ბ.-მაც. ასევე, დადგინდა, რომ ბრალდებულები, ცივი იარაღისა და სანადირო თოფის დემონსტრირებით ადგილობრივებს სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.

ორივე ბრალდებული სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღები ნივთმტკიცებად ამოიღო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 151-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას და მუქარას გულისხმობს.

თელავის მუნიციპალიტეტში სტიქიით მიყენებულ ზარალს ითვლიან!

თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში განმარტავენ, რომ ზარალის დამთვლელი კომისია სოფლებში მერის მოადგილესთან ერთად მუშაობს.

ძირითადად დაისეტყვა სოფლები ვარდისუბანი, რუისპირი, იყალთო. სხვა სოფლებშიც იყო შედარებით წვრილი სეტყვა და ქარი. ზარალის აღწერა უკვე დაიწყო. მერის მოადგილე ნიკოლოზ მეტრეველი მერიის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა ყველა ლოკაციაზე.

ადგილობრივების თქმით, სტიქიამ, რომელიც 10 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები, ხეხილის ბაღები და ვენახები გაანადგურა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, სტიქიამ კახეთის რეგიონის სხვადასხვა მუნიციპალიტეტი რამდენჯერმე დააზარალა.

ძლიერი ხანძარი ახალციხეში

ახალციხეში ძლიერი ხანძრის გამო 5 -სართულიანი კორპუსიდან 44 ოჯახის ევაკუირება განხორციელდა.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილზე მობილიზებული იყო სახანძრო-სამაშველოს, სასწრაფოს და საპატრულოს ეკიპაჟები.

ხსოვნა

არჩილ გოგელია, ნიკო აფხაზი, მზია და დათო გოგეჩიები, თამუნა ჩიქოვანი, უშანგი გოჩიტაშვილი

ოჯახებით იუწყებიან მეზობლისა და ახლო მეგობრის

ზაზა ურუშაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულწრფელად თანაუგრძნობს კოლეგასა და მეგობარს, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს მარინა გიგინეიშვილს საყვარელი დეიდის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ზაირა რუხაძის

გარდაცვალების გამო.

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების კონკურსის გამარჯვებულნი

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსის – „მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმების წარმოების დაფინანსება“ – მეორე ეტაპზე გადასული 9 პროექტიდან კომისიის მეორე შემადგენლობამ ერთხმად შეარჩია 3 გამარჯვებული პროექტი.

• „შავი შაშვი ჩიო-ოო-და“ – რეჟისორი გიორგი ჭუმბურიძე, პროდიუსერი **ნინო ჩუტკერაშვილი;**

• „ტრაგედია უგმიროთ“ – რეჟისორი და პროდიუსერი **რევაზ ნასიძე;**

• „ობსერვატორია“ – რეჟისორი და პროდიუსერი **მარიამ ქარქაშაძე.**

კომისიის წევრთა ორ-ორი ხმა მიიღო ორმა პროექტმა, ხოლო ოთხმა პროექტმა ვერცერთი ხმა ვერ მიიღო.

კონკურსის ამ ეტაპზე გადასული პროექტები განიხილა საექსპერტო კომისიის მეორე შემადგენლობამ, რომელიც იქმნება საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კომისიის მეორე შემადგენლობაში შედის ოთხი წევრი, რომელთაგან ორი პროდიუსერია, ერთი – კინოცენტრის ფინანსისტი, ერთი – მოწვეული ეკონომისტი.

კონკურსი ეროვნულმა კინოცენტრმა მიმდინარე წლის 16 აპრილს გამოაცხადა. კინოცენტრს 22-მა პროდიუსერმა მიმართა. კონკურსისთვის გამოიყო 200 000 ლარი.

* * *

შეგახსენებთ: მიმდინარე წლის 4 ივნისს საზოგადოებას ეცნობა კონკურსის მეორე ეტაპზე გადასული ცხრა პროექტის შესახებ, რომლებიც საექსპერტო კომისიის პირველმა შემადგენლობამ (ჟიურიმ) შემოსულ 22 პროექტს შორის მეორე ეტაპზე გადასასვლელად შეარჩია.

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „მაქრო ქონსთრაქშენის“ მიერ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) ღია კარიერული წესით მოპოვებისა და გადამუშავების პროექტი

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 19 ივლისი, 12:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის შენობა (მის: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N9), 2024 წლის 19 ივლისი, 14:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. შიბლიანის საჯარო სკოლის შენობა, 2024 წლის 19 ივლისი, 16:00 საათი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ბადიაურის ადმინისტრაციული ერთეულის შენობა.**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის **8 აგვისტოს** ჩათვლით მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 6 ივნისი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

„რეზოობის“ სახალხო დღესასწაული – ხაშში

რევაზ ინანიშვილის მშობლიურ სოფელ ხაშში, მისი დაბადებიდან 98 წლის საიუბილეოდ, მისივე სახელობის სახლ-მუზეუმში, „რეზოობის“ სახალხო დღესასწაული გაიმართა, რომელიც 2016 წლის 10 ივნისს დაწესდა და ყოველწლიურად ტარდება.

საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების ინფორმაციით, სოფელ ხაშის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში აღევლინა რევაზ ინანიშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი, შემდეგ, კი მისივე სახელობის სახლ-მუზეუმში მწერლის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

ადგილობრივებთან ერთად, ღონისძიებას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რეზო ინანიშვილის ოჯახის წევრები, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, მწერლები ესწრებოდნენ. სიტყვით გამოვიდნენ ტარიელ ხარხელაური, თემურ ჯაგოდნიშვილი, ვანო ჩხიკვაძე, თამარ შაიშმელაშვილი, ზაალ ბოტკოველი, ლია მამულაშვილი, ივანე ჯაფარიძე, ბაღათერ არაგული, თამაზ ხმალაძე და სხვები. ასევე – რევაზ ინანიშვილის შვილიშვილი რევაზ ინანიშვილი.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სოფ. ხაშმის რევაზ ინანიშვილის სახელობის საჯარო სკოლის მოსწავლეები, კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლები: „ბერიკაცები“ (ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი) და „პატარა გარეჯელები“ (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი). ანსამბლი „მირელა“ (ხელმძღვანელი მარინა ურდულაშვილი).

ღონისძიების ორგანიზატორი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია და ა (ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება იყო.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა.წ.რ.ეთლის №116 (ფიდუციალური)

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა მაშაკიძე
597-22-07-04

შემოქმედებითი ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი
გია პლატონიშვილი
ოთარ ტურაბელიძე
თემურ ძორიძე

სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი,
ოპერატორი
შორენა გვილია

რეკლამის მენეჯერი:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გამომცემელი:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

„ადუღებული“ მსოფლიო

ერევანში დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა

ერევანში, სომხეთის პარლამენტის შენობასთან აქციის მონაწილეებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკების შემდეგ, სამედიცინო დახმარებისთვის 101-მა სამოქალაქო პირმა და პოლიციელმა მიმართა.

ჯანდაცვის სამინისტროში აცხადებენ, რომ 85 დაშავებული სამედიცინო დაწესებულებებიდან უკვე გაწერეს, 16 კი – მკურნალობას აგრძელებს.

შეტაკება პარლამენტის შენობის წინ პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციაზე მოხდა.

არეულობა არგენტინის დედაქალაქში

გუენოს-აირესში პოლიციასა და არგენტინის ეროვნული კონგრესის შენობის წინ შეკრებილ მომიტინგეებს შორის შეტაკება მოხდა, – ამის შესახებ ინფორმაციას BBC ავრცელებს.

დემონსტრანტები პოლიციის მიმართულებით ე.წ. მოლოტოვის კოქტეილებსა და ქვებს ისროდნენ, შესაბამისად, სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი და წყლის ჭავლი გამოიყენეს.

აქციაზე რამდენიმე ადამიანი და პოლიციელი დაშავდა. ამასთან, 15 ადამიანი დააკავეს.

ქუვეითში ხანძარს 49 ადამიანი ემსხვერპლა

ქუვეითში საცხოვრებელ კორპუსში გაჩენილ ხანძარს 49 ადამიანი ემსხვერპლა.

მედიის ინფორმაციით, დაღუპულებს შორის 40 ინდოეთის მოქალაქე იყო, რომელიც ქუვეითში მუშაობდა.

ამასთან, შემთხვევის შედეგად სულ მცირე 47 ადამიანი დაშავდა.

ინფორმაცია დაადასტურა ქუვეითში ინდოეთის ელჩმაც, რომელმაც საავადმყოფოში დაშავებულები მოინახულა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ქუვეითში ინდოეთის ათასობით მოქალაქე მუშაობს, რომლებიც ძირითადად გადატვირთულ საცხოვრებლებში ცხოვრობენ, სადაც ტექნიკური გაუმართაობის გამო ცეცხლის გაჩენის შემთხვევები ხშირია.

ხანძარი გუშინ დილით, სამხრეთ ქუვეითის ქალაქ მანგაფში მდებარე შენობაში გაჩნდა.

„თეატრალური იმერეთი – 2024“ გაიხსნა

ფესტივალის ფარგლებში წარმოდგენილი იყო ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის სპექტაკლი „ჰელვერის ღამე“.

საერთაშორისო ფესტივალი იმერეთის 20-მდე პროფესიულ, სამოქალაქო და სახალხო თეატრს აერთიანებს, ასევე ფესტივალში მონაწილეობს მოლდოვისა და ლიეტუვას თეატრები.

„იმერეთის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი არის ჩვენი სავიზიტო ბარათი თეატრალურ სამყაროში. ფესტივალი წელს კიდევ უფრო მასშტაბურია. გარდა იმისა, რომ მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თეტრები, ასევე მონაწილეობენ ლიეტუვისა და მოლდოვის თეატრები. თეატრის მოყვარულებს ძალიან საინტერესო ორი კვირა ელოდებათ, მათ შევთავაზებთ ახალ სპექტაკლებს. ასე, რომ ამ პერიოდში მთლიანად იმერეთის მასშტაბით იქნება თეატრალური ზეიმი“ – ამბობს იმერეთის გუბერნატორი ზვიად შალამბერიძე.

იმერეთის თეატრალური ფესტივალი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რეჟისორები და მსახიობები პუბლიკის წინაშე წარადგენენ: კომედიურ, ტრაგიკულ, დრამატულ, ტრაგიკომიკურ და სხვა ხასიათის სპექტაკლებს.

„თეატრალური იმერეთის“ფარგლებში 12 ივნისიდან 26 ივნისამდე 17 სპექტაკლი იქნება წარმოდგენილი და საზოგადოებას ექნება საშუალება, უსასყიდლოდ დაესწროს წარმოდგენებს და ეზიაროს თეატრალურ ხელოვნებას.

ფესტივალის ორგანიზატორებმა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საერთაშორისო ფესტივალის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სპეციალური პრიზით „ქართული თეატრის ქომაგი“ დააჯილდოვეს.

საერთაშორისო ფესტივალმა წელს მე-15 სეზონი გახსნა.

15 და 16 ივნისს ქუთაისი გემო ფესტს მასპინძლობს

გემო ფესტი ქუთაისში გრუნდება. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით კულინარიული ფესტივალი იმერეთში გაიმართება.

ქუთაისში, ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის სკვერში, კვების სივრცეები, სამეწარმეო და ღვინის ბაზარი, გასართობი სივრცეები და ფოტო ზონები მოეწყობა. ქუთაისელებსა და ქუთაისის სტუმრებს საშუალება ექნებათ, დააგემოვნონ როგორც ტრადიციული, ასევე იშვიათი და ნაკლებად ცნობილი იმერული კერძები.

ფესტივალში იმერეთიდან 18 მეწარმე და მზარეული მიიღებს მონაწილეობას. გემო ფესტის ფარგლებში გაიმართება კონცერტი. ფესტივალის მიზანია რეგიონებში ადგილობრივი სამზარეულოს პოპულარიზაცია, მეწარმეების (ოჯახების) ხელშეწყობა, შიდა და საერთაშორისო მოგზაურების ნაკადების ზრდა.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 17 ივნისს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8664; ევრო - 3.0834;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6564;
100 რუბლი - 3.2088; თურქული ლირა - 0.0885;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6857;
1000 სომხური დრამი - 7.3876.

ამინდი 14 ივნისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+15,	დღე +34
მთიანი რაიონები -	ღამე	+10,	დღე +31
დასავლეთი საქართველო:			
ბარი -	ღამე	+16,	დღე +35
მთიანი რაიონები -	ღამე	+12,	დღე +33
თბილისი:	ღამე	+19,	დღე +34

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
ელ. ფოსტა: sak@sak.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge